

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



აფაგ ალიევა

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი
ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხები სს სარაჯიშვილის
მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანა სრესელი
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2020

ანოტაცია

„ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხები სს სარაჯიშვილის მაგალითზე“

კომპანიის ძირითადი მმართველობითი გადაწყვედილებების მიღებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სისტემატური ანალიზის ჩატარება. ფინანსური მდგომარეობის ანალიზში იგულისხმება საწარმოს აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების დეტალური შესწავლა, ასევე საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის, საქმიანი აქტივობების, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის, ასევე მომგებიანობისა და ფინანსური მდგრადობის ანალიზი გულისხმობს.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან: პირველ ნაწილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მნიშვნელობა და მთავარი თეორიული საკითხები. მეორე ნაწილში კი განხილულია სააქციო საზოგადოება სარაჯიშვილის 2018 წლის ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. პრაქტიკულ ნაწილში ჩატარებულია საწარმოს სტრუქტურული, დინამიკური და კოეფიციენტების ანალიზები.

დასკვნით ნაწილში ანალიზის შედეგების საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და გაცემულია რეკომენდაციები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ნაშრომის ბოლოში მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართის სახით მოცემულია სს სარაჯიშვილის 2018 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები.

ANNOTATION

Master's student: AFAG ALIEVA

Master's Thesis Title: "Financial situation analysis issues on the example of JSC Sarajishvili"

Comparing a systematic analysis of the financial condition of an enterprise plays an important role in making the company's key management decisions. Financial situation analysis involves a detailed study of the assets of the enterprise and their sources of financing, including the analysis of the enterprise's assets, business activities, liquidity and solvency, as well as profitability and financial sustainability.

The master's thesis consists of two parts: the first part presents the importance of financial condition analysis and the main theoretical issues. The second part discusses the analysis of the financial condition of the joint stock company Sarajishvili based on the data of individual financial statements for 2018. In the practical part, structural, dynamic and coefficient analyzes of the enterprise are conducted.

In the final part, based on the results of the analysis, appropriate conclusions are made and recommendations are issued to improve the financial condition of the enterprise.

At the end of the paper is a list of used literature and as an appendix are the components of JSC Sarajishvili's 2018 individual financial statements..

შინაარსი

შესავალი	5
თავი 1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი საკითხები	8
1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი, ინფორმაციული წყარო და შემფასებელი მაჩვენებლების სისტემა	8
1.2 ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლების სისტემა	15
1.3 საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების სისტემა	20
თავი 2. სს სარაჯიშვილის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები	27
2.1 ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი	27
2.2 ქონებრივი მდგომარეობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზი	31
2.3. ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზი	46
2.4. ფინანსური მდგრადობის და მომგებიანობის მაჩვენებლების ანალიზი	53
დასკვნა	70
გამოყენებული ლიტერატურა	73
დანართი	75

შესავალი

თემის აქტუალობა: თანამედროვე მსოფლიოში ყოველწლიურად იცვლება ეკონომიკის პირობები, მომსახურეობისა და წარმოების სექტორში კონკურენტუნარიანობა ძლიერდება. საწარმოებმა ყოველწლიურად უნდა შეინარჩუნონ თავიანთი სტაბილურობა. საწარმოების სტაბილურობით დაინტერესებულნი არიან როგორც თვითონ საწარმოს შიდა მომხმარებლები, ანუ საწარმოს ხელმძღვანელები, მენეჯერები, აქციონერები (ინვესტორები), ისე გარე მომხმარებლები, ანუ კრედიტორები, ბანკები და სხვა. მუდმივი სტაბილურობის შენარჩუნებისათვის ან გაძლიერებისათვის საწარმოში უნდა ჩატარდეს ეტაპობრივად ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, რათა გაიგონ საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგის საფუძველზე ხელმძღვანელობას შეუძლია გაიგოს საჭიროა თუ არა დამატებითი ინვესტიციების ჩადება. ასევე შეიძლება შეაფასოს საწარმოს მიმდინარე გადახდისუნარიანობა. კრედიტორები კი შეაფასებენ საწარმოს ვალდებულებების დაფარვის უნარს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ საწარმოს ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა, მომგებიანობა და სხვა.

საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ღვინისა და სპირტიანი სასმელების წარმოებას და ექსპორტს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის მონაცემებით ამ სექტორში ფუნქციონირებს 380 კომპანია. წლიური ბრუნვა შეადგენს 868 მლნ ლარს. ამ კომპანიებიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ექსპორტს ახორციელებს 8 ბრენდი. ამ დარგში ერთ ერთი უძველესი და უძლიერესი ღვინისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი და ექსპორტიორი კომპანია არის სს სარაჯიშვილი, რომელიც ამ დარგში 136 წელია ფუნქციონირებს. ამიტომ კვლევის მიზნად არის აღებული სს სარაჯიშვილის 2018 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ანალიზი.

კვლევის მიზნები და ამოცნები: სამაგისტრო ნაშრომის თეორიული ნაწილის მიზანია ფინანსური მდგომარეობის ანალიზთან დაგავშირებული ძირითადი თეორიული

ასპექტების ანალიზი. ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის საჭირო მეთოდებისა და კოეფიციენტების თეორიული მიმოხილვა და დახასიათება. ამ მიზნის მიღწევისათვის საჭიროა რამდენიმე ამოცანის შესრულება. ძირითადი თეორიული ასპექტების ანალიზისათვის საჭირო გახდა ფინანსური ნაშრომების, წიგნებისა და სხვა თეორიული მასალების მოძიება, ავტორების მოსაზრების ერთმანეთთან შედარება.

პრაქტიკულ ნაწილში კი ჩატარებულია სს სარაჯიშვილის 2018 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. 2018 წლის მონაცემები შედარებულია 2017 წლისა და 2016 წლის მონაცემებთან. ფინანსური ანალიზის შესაბამისობა და შესადარისობა ფინანსური ანალიზის დინამიკაში ჩატარების საშუალებას გვაძლევს. მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, საწარმოს სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრა, სუსტი მხარეებისთვის რეკომენდაციების გაწევა. პრაქტიკულ ნაწილში მიზნის მიღწევისთვის საჭირო იყო შერჩეული კვლევის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების პოვნა, წინა წლებთან შედარება. მიზნად დასახული მიმართულებებით ანალიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

კვლევის ობიექტი და საგანი: სამაგისტრო ნაშრომის ობიექტად შერჩეულია ღვინისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი საწარმო სააქციო საზოგადოება სარაჯიშვილი. სს სარაჯიშვილი 1884 წლიდან აქტიურად ფუნქციონირებს საქართველოში. დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვა როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს ბაზარზე. კომპანიას ჰყავს ორი შვილობილი- შპს გეო ალექო და შპს სარაჯიშვილი დისდილერი, რომლებშიც წილის 100%-ს ფლობს.

სარაჯიშვილის ბრენდის ქვეშ გაერთიანებულია სამი ხაზი - კლასიკური, უნიკალური და ვინტაჟური. 2019 წლის მდგომარეობით სს სარაჯიშვილი სამოცამდე დასახელების პროტუქციას აწარმოებს და 19 ქვეყანაში წარმოადგენს. კომპანიის შემოსავლის 70 %-მდე წილი სწორედ საექსპორტო ბაზრებიდან მოდის. სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნებს.

სს სარაჯიშვილს წარმოდგენილი აქვს 2018 წლისათვის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილების უფრო ნათლად ანალიზისათვის ნაშრომის კვლევის საგნად ავირჩიე სს სარაჯიშვილის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები: კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზისათვის საჭირო შემდეგი მეთოდები:

- სტრუქტურის (ვერტიკალური) ანალიზი
- დინამიკის (ჰორიზონტალური) ანალიზი
- კოეფიციენტების ანალიზი

ანალიზის დროს შედეგები შედარებულია წინა წლების ანალოგიურ მონაცემებთან, შედგენილია შესაბამისი შედარების ცხრილები, აგებულია დინამიკური გრაფიკები და დიაგრამები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

მატერიალური-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო წყარო: ნაშრომში გამოყენებულია როგორც ქართულ, ისევე უცხო (თურქული, რუსული და ინგლისური) ენებზე დაწერილი სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები და წიგნები, ასევე ინტერნეტ რესურსები. სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან. პრაქტიკულ ნაწილში გამოყენებული მონაცემები ამოღებულია საწარმოს ელექტრონული საიტიდან. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 80 გვერდს და შედგება შესავლის, ორი თავის, 7 ქვეთავისა და დასკვნისაგან. შრომას ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

თავი 1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი საკითხები.

1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი, ინფორმაციული წყარო და შემფასებელი მაჩვენებლების სისტემა

საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა საკმარისი ფინანსური რესურსების არსებობა, რომლებიც გარდაიქმნება შრომით და მატერიალურ რესურსებად. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოები თავის საქმიანობას გარკვეული მიზნებისა და სტრატეგიების ფარგლებში განახორციელებენ. მიზნების მისაღწევად საჭიროა ფინანსური რესურსების ოპტიმალური მართვა. კარგად ჩამოყალიბებული სტრატეგიების მეშვეობით შესაწლებელია მაქსიმალური შედეგების მიღება. საწარმოს მიერ დასახული მიზნების განხორციელებისათვის საჭიროა მის განკარგულებაში არსებული მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მისი საფინანსო საქმიანობის მიმდინარე მართვა და საფინანსო საქმიანობის პერსპექტიული პროგნოზირება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს გადახდისუნარიანობას და მდგრადობას.

საწარმოებში ფინანსური ანალიზის ჩატარება, კერძოდ ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარება დიდ როლს ასრულებს ამ საკითხების კონტროლისათვის.

ფინანსური ანალიზი იკვლევს საწარმოს ფინანსებს, აქტივებისა და მისი დაფინანსების წყაროების ხარისხს, ასევე საწარმოს ფინანსური პოზიციებს. საწარმოს ფინანსური ანალიზის მიზანია მოიპოვოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. ფინანსური ანალიზის ჩატარებისათვის საჭირო ძირითადი მონაცემები ასახულია ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ კომპონენტ ბუღალტრულ ბალანსში. ბალანსის მონაცემების ანალიზის საშუალებით შეიძლება ვიმსჯელოთ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფინანსური მდგომარეობა არის საწარმოს მიმდინარე, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ერთობლიობა. ფინანსური მდგომარეობა არის ის მაჩვენებელთა სისტემა,

რომელიც ასახავს საწარმოს ფინანსური რესურსების ოდენობას, ფინანსური რესურსების განთავსებას და გამოყენებას.

ფინანსური მდგომარეობა ძირითადად ფასდება, როგორც მდგრადი, არამდგრადი და კრიზისული.

მდგრადი ფინანსური მდგომარეობა არის საწარმოს უნარი დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები, დააფინანსოს თავისი საქმიანობა. ეს კი დამოკიდებულია მისი მიზნების დროულად შესრულებაზე, კერძოდ პროდუქციის წარმოებასა და მის რეალიზაციაზე. თუ საწარმო პროდუქციის წარმოებას ასრულებს გეგმით და წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია თავის დროზე მოხდება, მაშინ თავის დროზე მოხერხდება ხელფასების გაცემა, სხვა ვალდებულებების დროულად დაფარვა და გეგმის მიხედვით შესაძლებელი გახდება საწარმოს გაფართოებაც. ეს კი მეტყველებს კარგ, მყარ ფინანსურ მდგომარეობაზე. საწარმოში წარმოებისა და რეალიზაციის ტემპის შემცირების შედეგად მცირდება მოგების სიდიდე და უარესდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. მყარი ფინანსური მდგომარეობა დადებითად მოქმედებს ფინანსური რესურსების ოპტიმალური დონის შენარჩუნებაზე, საინვესტიციო რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე. ფინანსური საქმიანობის ძირითადი მიზანია რესურსების ეფექტიანი განაწილება, რათა წარმოების დონე და მოგება გაიზარდოს.

სტაბილურად ანალიზის ჩატარება მენეჯერებს ეხმარება უფრო რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებაში. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სუსტ და ძლიერ ასპექტებს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მიზანი არის მიმდინარე შედეგების შეფასება და წარსულის ანალოგიურ მონაცემებთან შედარება, რის შედეგად ვლინდება არსებული მიმდინარე პრობლემები, რომელებიც საფრთხის ქვეშ აყენებს საწარმოს სტაბილურებას. ასევე შეიძლება საწარმოს საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების გზების პოვნა და მომავლისთვის მისი განვითარების პერსპექტივისათვის სტრატეგიების შემუშავება. როგორც სხვადასხვა

ლიტერატურებშიც არის მითითებული საწარმოს საქმიანობა ხასიათდება თანმიმდევრული და ურთიერთკავშირებული ხუთი შედეგით. (ცხრილი #1)

(ცხრილი 1.1.1)

1	სამეურნეო საქმიანობის შედეგი =	+სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლები -დანახარჯები სამეურნეო საქმიანობიდან
2	ფინანსური შედეგი =	+ფინანსური შემოსავალი -ფინანსური ხარჯები
3	მიმდინარე შედეგი=	+სამეურნეო საქმიანობის შედეგი +ფინანსური შედეგი
4	დაუგეგმავი შედეგი=	+დაუგეგმავი შემოსავალი -დაუგეგმავი ხარჯი
5	წმინდა შედეგი=	+სამეურნეო საქმიანობის შედეგი +ფინანსური შედეგი +დაუგეგმავი შედეგი -მოგების გადასახადი

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დახმარებით შეიძლება შევისწავლოთ:

- **საწარმოს მომგებიანობა**-ანუ უნარი, მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში საწარმო მიიღოს შემოსავალი და შეინარჩინოს შემოსავალის ზრდის ტემპს.
- **ლიკვიდურობა**- აქტივების ფულად რესურსებად ქცევის უნარი.
- **გადახდისუნარიანობა**- საწარმოს ფუნქციონირებისათვის საციცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორი. ანუ , გრძელვადიან პერიოდში ვალდებულებების დაფარვის უნარი.
- **მდგრადობა**- სიცოცხლისუნარიანობა, იმიჯი კრედიტორებისა და ინვესტორების წინაშე.
- **საწარმოს ფუნქციონირების სამეურნეო - საფინანსო პერსპექტივები**- კერძოდ, გასაღების ბაზარზე პოზიციების განმტკიცება და ახალი ბაზრების ათვისება, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, პერსონალის მოტივაციის ამაღლება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ:

- ✓ საწარმოს ქონებრივი მდგომარეობა;
- ✓ კაპიტალის საკმარისობა მიმდინარე და საინვესტიციო საქმიანობისათვის;
- ✓ ფინანსების დამატებითი წყაროების საჭიროება;
- ✓ კაპიტალის ზრდის უნარი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ინფორმაციული წყარო არის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, კერძოდ ბუღალტრული ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება, ასევე ბალანსის თითოეული მუხლის განმარტებითი შენიშვნები და სხვა.

ამიტომ ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარებას უნდა დავიწყოთ ბუღალტრული ბალანსის ანალიზით. ბუღალტრული ბალანსი არის ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი კომპონენტი, რომელშიც საწარმოს ქონება ორმხრივად არის ასახული, ერთის მხრივ აქტივები და მეორეს მხრივ მისი დაფინანსების წყაროები. ბუღალტრულ ბალანსში მოცემულია აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ მონაცემები ფულად ერთეულში პერიოდის ბოლოსა და დასაწყისისათვის. ბუღალტრულ ბალანსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები უწოდებს „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასაც“.

ბალანსი ორი ნაწილისაგან შედგება, პირველ ნაწილში ასახულია აქტივების ამსახველი მუხლები, მეორე ნაწილში კი კაპიტალისა და ვალდებულებების ამსახველი მუხლები. ბალანსის ნაწილები ეყრდნობა შემდეგ ტოლობას, რომელსაც საბალანსო ტოლობასაც უწოდებენ:

$$\text{აქტივი} = \text{საკუთარი კაპიტალი} + \text{ვალდებულებები (1.1.1)}$$

ბალანსში აქტივები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივის, ასევე ვალდებულებებიც გრძელვადიანი და მიმდინარე ვალდებულებების სახით. ამის შედეგად (1) ტოლობა შეიძლება შემდეგნაირად დავწეროთ:

მიმდინარე აქტივი + გრძელვადიანი აქტივი = საკუთარი კაპიტალი + მიმდინარე ვალდებულებები + გრძელვადიანი ვალდებულებები (1.1.2)

სხვადასხვა საწარმოში ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა ერთმანეთისგან საკუთარი კაპიტალის სტრუქტურით განსხვავდება. სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე საკუთარი კაპიტალი შეიძლება დასახელდეს შემდეგნაირად: „სააქციო კაპიტალი“ (სააქციო საზოგადოებში), „საწესდებო კაპიტალი“ (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში და ინდივიდუალური ტიპის საწარმოებში) და „პარტნიორთა კაპიტალი“ (ამხანაგობაში).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე შეიძლება შევისწავლოთ ფინანსური ანალიზის ძირითადი მიზნები, კერძოდ:

- აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის მუხლებში მომხდარი სასურველი და არასასურველი ცვლილებები.
- საწარმოს ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტური მაჩვენებლები.
- საკუთარი საბრუნავი კაპიტალი როგორ ფარავს მატერიალური მარაგებს.
- მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობა როგორია.
- საწარმო თავის საქმიანობას დამოუკიდებულად გააგრძელებს, თუ დამოკიდებულია სხვებზე.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შეფასება შესაძლებელი ზოგადი ანალიზითა და ექსპრეს ანალიზის მეთოდით. ზოგად ანალიზში იგულისხმება ბალანსის სტრუქტურის, დინამიკის ანალიზი, ტრენდული ანალიზი და შედარებითი ანალიზი.

სტრუქტურის (ვერტიკალური) ანალიზის დროს ბალანსის თითოეული მუხლის გამოყენებით მიიღება ფარდობითი მაჩვენებლები. ასევე სტრუქტურის ანალიზის დროს გამოიყენება პროცენტული ზომის ერთეული.

ბალანსის სტრუქტურის ანალიზის საშუალებით გავიგებთ თუ საწარმოს რა მიმართულებით აქვს დაბანდებული სახსრები, ბალანსის რომელი მუხლი როგორ იცვლება

წლის ბოლოს წლის დასაწყისთან შედარებით, სავაჭრო მოთხოვნებისა და სავაჭრო ვალდებულებების მოცულობა როგორ იცვლება. ზოგადად ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზის დროს აქტივებში სავაჭრო მოთხოვნების და მარაგების ზრდა , დაფინანსების წყაროებში კი სავაჭრო ვალდებულებების ზრდა და კაპიტალის შემცირება უარყოფით მოვლენად ითვლება.

ბალანსის ზოგადი ანალიზის გარდა შეიძლება ცალკეული ნაწილის დაწვრილებით შესწავლა. მაგალითად გრძელვადიანი აქტივების შემადგენლობაში არსებული მუხლები როგორ შეიცვალა. ასევე მოკლევადიან აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის ცვლილებების ცალ ცალკე შესწავლა უფრო მიზანშეწონილია. იმიტომ რომ შეიძლება გრძელვადიან აქტივის კონკრეტულ მუხლში არ იყოს ცვლილება, მაგრამ მოკლევადიანი აქტივების ცვლილების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალოს პროცენტული ცვლილებები. მაგრამ ესეც შეიძლება სრულიად არ გვაჩვენოს ზუსტ ცვლილებებს. სტრუქტურის ანალიზის ეს შეზღუდვების თავიდან აცილება შეიძლება დინამიკის (ჰორიზონტალური) ანალიზის საშუალებით.

დინამიკის (ჰორიზონტალური) ანალიზის დროს პროცენტულად გამოითვლება მინიმუმ ორი წლის მონაცემები. ჰორიზონტალური ანალიზის დროს ბალანსის თითოეული ელემენტს შევადარებთ საბაზისო წელთან. ამის შედეგად გავიგებთ რომ, თუ როგორ შეიცვალა ბალანსის მონაცემების დინამიკური სტრუქტურა საბაზისო წელთან შედარებით. კონკრეტული მუხლი რამდენად შეიცვალა და ამ ცვლილებებმა როგორი გავლენა მოახდინა ბალანსის ნაწილებზე.

ტრენდული ანალიზი- ფინანსური ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება მთელი რიგი წინა პერიოდებთან „ტრენდის“ საშუალებით.

შედარებითი ანალიზი - შედარებითი ანალიზის ჩატარება შეიძლება როგორც საწარმოს კონკრეტული ქვეგანყოფილებს შორის, საამქროებს შორის, ისე ანალოგიური საქმიანობის მქონე საწარმოების მონაცემებს შორის.

გარდა ფინანსური მდგომარეობის ზოგადი შეფასებისა, ავტორების უმრავლესობას გამოყენებული აქვს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თემატიკური საკითხებისათვის შემდეგი კოეფიციენტები:

✚ ქონებრივი მდგომარეობის კოეფიციენტები:

- ფონდუკუგების კოეფიციენტი;
- ფონდტევადობის კოეფიციენტი;
- ცვეთის კოეფიციენტი;
- განახლების კოეფიციენტი;
- ვარგისიანობის კოეფიციენტი.

✚ -ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი:

- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

✚ საქმიანი აქტივობის კოეფიციენტები:

- დებიტორული დავალიანებების ამოღების კოეფიციენტი;
- საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის კოეფიციენტები;
- მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
- ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი;
- საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის კოეფიციენტი.

✚ ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლები:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი;
- სახსრების მანევრირების კოეფიციენტი;
- საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი;

- გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი;
- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი.

✚ მომგებიანობისა და საინვესტიციო აქტივობის შეფასების მაჩვენებლები:

- საერთო მოგების მარჟა;
- საოპერაციო მოგების მარჟა;
- წმინდა მოგების მარჟა;
- აქტივებზე შემოსავლის კოეფიციენტი;
- გამოყებებული კაპიტალის რენტაბელობა;
- საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა;
- აქტივების რენტაბელობა (ROA);
- ინვეტიციების რენტაბელობა (ROI).

1.2 ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლების სისტემა


საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი არის ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი. ვინაიდან საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება და თავისი საქმის გაგრძელება დამოკიდებულია მის განკარგულებაში არსებულ ქონებაზე. არასწორად შეფასებული ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი შეიძლება სწარმოს გაკოტრების ძირითადი მიზანი გახდეს.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობა შეისწავლება მათი სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტების საშუალებით. საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზისთვის უნდა დავიწყოთ მის განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების და ფულადი რესურსების ზოგადი შეფასებით.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზისათვის ინფორმაციული წყარო არის ბუღალტრული ბალანსის მიმდინარე და წინა წლის მონაცემები.

საწარმოს ქონება შედგება ძირითადად მის განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური გრძელვადიანი აქტივებისაგან. გრძელვადიანი აქტივები შედგება შემდეგი მუხლებისაგან: ძირითადი საშუალებები, ბიოლოგიური აქტივები, არამატერიალური აქტივები, საინვესტიციო ქონება და ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში. (სქემა 1)

(სქემა 1.2.1)




საწარმოს ძირითადი ფონდების ანალიზი უნდა დავიწყოთ ზოგადი სტრუქტურული და დინამიკური ანალიზით. სტრუქტურული ანალიზის დახმარებით გავიგებთ რომელი მუხლის ხვედრითი წილი უფრო მეტია მთლიან ქონებაში. ზოგადად საწარმოების განკარგულებაში არსებული გრძელვადიანი აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ძირითადი საშუალებები. “ძირითადი საშუალებები ეწოდება ისეთ საშუალებებს, რომლებიც წარმოების პროცესს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ემსახურებიან და რომელთაც თავიანთი ღირებულება თანდათანობით ნაწილ-ნაწილ, გადააქვთ ახლად შექმნილი პროდუქციის ღირებულებაში ცვეთის შესაბამისად ისე რომ არ კარგავენ თავიანთი პირვანდელ სახეს”¹. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების

¹ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი, 2011

შესაბამისად ძირითადი საშუალება არის მატერიალური აქტივი, რომელიც იმყოფება საწარმოს განკარგულებაში ერთ წელზე მეტი ხნით, გამოიყენება წარმოებაში საქონლის ან მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული ინტერესებისათვის. რომელიც თავის მხრივ შედგება რამდენიმე მუხლისაგან: მიწა, შენობა ნაგებობები, მანქანა დანადგარი, ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკები და სხვა.

(სქემა1.2.2)



საწარმოს ძირითადი საშუალებების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება ფონდუკუგებისა და ფონდტევადობის მაჩვენებლები. ფონდუკუგების განსაზღვრისათვის საჭიროა საწარმოს წმინდა ან რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული ამონაგების შეფარდება ძირითადი საწარმო ფონდების საშუალო ღირებულებასთან (1.2.1). ფონდუკუგება გვიჩვენებს პროდუქციის წარმოების მოცულობას ერთ ლარ ძირითად საშუალებებზე.

(1.2.1)

$$K_{\text{ფონდუკუგება}} = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{ძირითადი საწარმო ფონდების საშუალო ღირებულება}}$$

ფონდტევადობა კი ფონდუკუგების შებრუნებული ვერსიაა, ანუ ძირითადი საწარმო ფონდების საშუალო ღირებულება შეფარდებული ამონაგები რეალიზაციიდან (1.2.2). ფონდტევადობა გვიჩვენებს თუ რა მოცულობის ძირითადი საშუალება მოდის ერთი ლარის შემოსავალზე.

(1.2.2)

$$K_{\text{ფონდტევადობა}} = \frac{\text{ძირითადი საწარმო ფონდების საშუალო ღირებულება}}{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}$$

(1.2.3)

$$\text{ძირითადი საწარმოს ფონდების საშუალო წლიური ღირებულება} = (\text{ფონდების ღირებულება წლის დასაწყისში} + \text{ფონდების ღირებულება წლის ბოლოს}) / 2$$

ფონდუკუგების ცვლილებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ფაქტორების გავლენის შეისწავლისათვის ავტორთა უმრავლესობის მიერ რეკომენდებულია სამდონიანი ფაქტორთა ცვლილებების გავლენის ანალიზის ჩატარება. რომლის მიხედვით : **პირველი დონე**- ძირითადი საშუალებების ცვლილებაზე გავლენას ახდენს პირველი დონის შემდეგი ფაქტორების- ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილი და ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის უკუგების ცვლილება.

ასევე ძირითადი საშუალებების ცვლილებაზე გავლენას ახდენს **მეორე დონის ფაქტორთა** ცვლილებებიც. რომლებიც არის ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის შემადგენლობაში არსებული ცვლილებების შედეგი, როგორცაა მოწყობილობების სტრუქტურის ცვლილება, მოწყობილობების გამოყენების ვადის ცვლილება.

მესამე დონის ფაქტორები არის მოწყობილობების გამომუშავებაზე მომხდარი ცვლილებები, როგორც არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ა.შ

ძირითადი საშუალებების მოძრაობის ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

განახლების კოეფიციენტი აჩვენებს ძირითადი საშუალებების განახლების დონეს, ანუ ახალი ძირითადი საშუალებების წილს მთელ ძირითადი საშუალებებში

(1.2.4)

$K_{\text{განახლების}} = \text{შეძენილი ახალი ძირ. საშუ/ძირ. საშ. პირვანდელი ღირებულება}^2$

“გასვლის კოეფიციენტი ახასიათებს წარმოების სფეროდან გასვლის ინტენსივობის ხარისხს.”³ იგი გამოიანგარიშება საანგარიშო პერიოდში გასული ძირითადი საშუალებების ღირებულებას შეფარდებული პერიოდის დასაწყისში არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან.

$K_{\text{გასვლის}} = \text{გასული ძირ. საშუ/ძირ. საშ. პერიოდის დასაწყისში}$ (1.2.5)

ცვეთის კოეფიციენტი აჩვენებს რომ ძირითადი საშუალებების რა ნაწილი არის გადასული წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

(1.2.6)

$K_{\text{ცვეთის}} = \text{დაგროვილი ცვეთა/ძირ. საშ. პირვანდელი ღირებულება}^4$

(1.2.7)

“ $K_{\text{ვარგისიანობის}} = \text{ძირ. საშუ საბალანსო ღირებულება/ძირ. საშ. პირვანდელი ღირებულება}^5$ ”

$K_{\text{ცვეთის}} + K_{\text{ვარგისიანობის}} = 1$

რაც უფრო მეტია ვარგისიანობის კოეფიციენტი, ესე იგი მით უფრო მეტია ძირითადი საშუალებების განახლების დონეც. ვარგისიანობისა და ცვეთის კოეფიციენტი ურთიერთ

² ჭილაძე იზოლდა. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018.

³ ჯიქია მერაბ. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

⁴ ჭილაძე იზოლდა. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018.

⁵ ჭილაძე იზოლდა. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018.

დაკავშირებული კოეფიციენტებია. მათი ჯამი ყოველთვის ერთის ტოლი უნდა იყოს. ამით შეიძლება აკონტროლონ ცვეთის ხარჯი ხელოვნურად შემცირებულია თუ არა.

ეს კოეფიციენტის საშუალებით შეიძლება გავიგოთ ძირითადი საშუალებების რამდენი პროცენტი გადადის ხარჯებში და უკან ბრუნდება ფულის სახით.

1.3 საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების სისტემა

“საწარმოს საქმიანი აქტივობის ცნების ქვეშ იგულისხმება საწარმოში არსებულ რესურსებში წინასწარ გაღებული, ანუ ავანსირებული, წინასწარ დაბანდებული სახსრების გამოყენების ტემპი, სიჩქარე.”⁶

საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მომგებიანობისათვის აქტივების, კერძოდ საბრუნავი საშუალებების გარკვეული რაოდენობა მოდმივად შეინარჩუნონ. მაგრამ მოგების ზრდისათვის ეს მარაგები მუდმივად უნდა იყოს ბრუნვაში. ანუ წარმოებისა და რეალიზაციის პროცესი უწყვეტად გაგრძელდეს. წარმოების შეუფერხებლად გაგრძელებისათვის საჭირო მატერიალური მარაგებისა და შრომითი რესურსების არსებობა აუცილებელია. რეალიზაციის პროცესის შეუფერხებლად გაგრძელებისათვის საჭიროა საწყობში მზა პროდუქციის საჭირო რაოდენობის არსებობა, ასევე საჭირო ფულადი თანხების არსებობაც მნიშვნელოვანია. ამ საჭიროებებთან ერთად მენეჯმენტმა უნდა აკონტროლოს ამ ყველაფერის ოპტიმალური დონე. არც მარაგები და მზა პროდუქტები საწყობში არ უნდა იყოს უძრავად, რომ არ მოძველდეს. ასევე ფულადი თანხების კონტროლიც არის საჭირო.


ფულადი საშუალებების მოძრაობის სტრუქტურა მოცემულია დიაგრამაზე #1.4.1. დიაგრამიდან ჩანს რომ ფულადი თანხების ზრდა დამოკიდებულია მოთხოვნების მიღებაზე და გაყიდვებზე. ფულადი საშუალებების მოძრაობა იწყება ახალი ძირითადი საშუალებების

⁶ ქილაძე იზოლდა. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018

და მარაგების შესყიდვით. შესყიდული ძირითადი საშუალებების და მარაგების მეშვეობით დაიწყებს საწარმო ახალი პროდუქციის წარმოებაზე, წარმოებული მზა პროდუქციის გაყიდვით კი ისევ გაიზრდება ფულადი თანხები. ასევე ფულადი საშუალებებით დაიფარება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების დაფარვა.

საქმიანი აქტივობის ძირითადი ამოცანა არის საწარმოს ავანსირებული სახსრების ბრუნვადობის და სიჩქარის გაანგარიშება, ასევე მათი ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა. ავანსირებული სახსრები არის ძირითად საშუალებებში და მიმდინარე აქტივებში დაბანდებული ფული. მიმდინარე აქტივებში დაბანდებული ფული უფრო სწრაფად დაბრუნდება ვიდრე გრძელვადიან აქტივებში. ამიტომ მიმდინარე აქტივები საბრუნავი ან მობილური საშუალებითაც არის ცნობილი. გრძელვადიანი აქტივები კი ძირითადი ან არამობილური საშუალებით არის ცნობილი.

დიაგრამა 1.4.1:



საწარმოს საქმიანი აქტივობის ზოგადი შეფასებისათვის გამოიყენება მოგების ზრდის ტემპი, რეალიზაციის ზრდის ტემპი და აქტივების ზრდის ტემპი. ჯანსაღი ეკონომიკური ზრდისათვის უნდა შესრულდეს შემდეგი პირობები:

1. საწარმოს რენტაბელობის ზრდისათვის მოგების ზრდის ტემპი წინ უნდა უსწრებოდეს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ზრდის ტემპს.
2. აქტივების გამოყენების ეფექტიანობისათვის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ზრდის ტემპი მეტი უნდა იყოს აქტივების ზრდის ტემპზე.
3. ყველა ზრდის ტემპი 100 %-ზე მეტი უნდა იყოს.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი კოეფიციენტები:

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტი. საწარმოს საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა არის საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის ანალიზი. მისი დახმარებით შეიძლება გავიგოთ რამდენად ეფექტიანად იყენებს საწარმო არსებული ავანსირებულ სახსრებს. ავანსირებული კაპიტალის ბრუნვაში ყოფნაზე გავლენას ახდენს ზოგი შიდა და გარე ფაქტორები. შიდა ფაქტორები შეიძლება იყოს მარაგების შეფასების მეთოდები, საწარმოს აქტივების სტრუქტურა და ა.შ. გარე ფაქტორებს კი მიეკუთვნება საწარმოს საქმიანობის სფერო, საწარმოს მასშტაბი, ქვეყანაში მომხდარი ეკონომიკური სიტუაციები და სხვა.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის უნდა შევაფარდოთ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები საბრუნავი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულებებთან. ეს კოეფიციენტი ფორმულის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

$K_b = V/S_k$	(1.3.1)
---------------	---------

სადაც: K_b - არის საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტი

V -არის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები

S_k - არის საბრუნავი კაპიტალის საშუალო სიდიდე

⁷ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

(1.3.2)

$$S_k = (\text{საბრუნავი კაპიტალი წლის დასაწყისში} + \text{საბრუნავი კაპიტალი წლის ბოლოს}) / 2$$

ამ კოეფიციენტის საშუალებით შეიძლება გავიგოთ რამდენჯერ შემობრუნდება ავანსირებული კაპიტალი ერთი წლის მანძილზე. ამ კოეფიციენტის შებრუნებული ვერსიით შეიძლება გავიგოთ თუ ერთი ლარის შემოსავლის მიღებისთვის რამდენი ლარის კაპიტალის დაბანდება არის საჭირო. რომელსაც დამაგრების კოეფიციენტი ეწოდება.

$$K_{\text{დამაგრების}} = S_k / V^8 \quad (1.3.3)$$

ასევე საბრუნავი კაპიტალის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობის გაანგარიშებაც შეგვიძლია. რომელიც შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

(1.3.4)

$$D = S_k * T / V^9$$
$$D = S_k * 365 / V$$

სადაც: D-არის ბრუნვის პერიოდის ხანგრძლივობა

T- არის საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობა (მაგ: 365 დღე- წელი)

უფრო დაწვრილებითი ანალიზისათვის საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობაში არსებული კომპონენტების, კერძოდ მარაგებისა და დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტების და ბრუნვის ხანგრძლივობის გაანგარიშებაც არის საჭირო.

მარაგები საბრუნავი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ მისი ანალიზი და შეფასებაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანალიზის ჩატარებაშიც. მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად შევაფარდებთ მარაგის საშუალო წლიური ღირებულებას რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული ამონგებთან. ფორმულის სახით შემდეგნაირად დავწერთ:

⁸ იზოლდა ჭილაძე. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018

⁹ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

(1.3.5)

“K_a = ამონაგები რეალიზაციიდან/მარაგების საშუალო სიდიდე”¹⁰

მარაგის საშუალო სიდიდე = (მარაგი წ/დ+ მარაგი წ/ზ)/2 (1.3.6)

ასევე შიძლება დავიანგარიშოთ 1 ლარის პროდუქციის წარმოებისათვის რამდენი მატერიალური მარაგი არის საჭირო. ამისათვის მარაგების საშუალო სიდიდე უნდა შევავარდოთ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან.

(1.3.7)

$K_{\text{დამაგრების}}$ = მარაგების საშუალო წლიური სიდიდე/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

მარაგების ბრუნვადობა დღეებში. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს რომ მარაგის ერთი ბრუნვისათვის რამდენი დღე არის საჭირო. ანუ არსებული მარაგი რამდენი დღის მანძილზე გადაეყცევა ხარჯად. მარაგების შენახვის პერიოდის ზრდა უარყოფითი მოვლენაა. იმიტომ რომ, მარაგის შენახვა ხარჯებთან არის დაკავშირებული.

(1.3.8)

D_a = მარაგების საშუალო წლიური სიდიდე*365/ამონაგები რეალიზაციიდან¹¹

ან D_a = 365/მარაგების ბრუნვის რიცხვი¹²

დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის კოეფიციენტები. საბრუნავ საშუალებებში დებიტორული დავალიანების ხვედრითი წილიც მეტია. ამიტომ საბრუნავი საშუალებების ანალიზი უნდა გაგრძელდეს დებიტორული დავალიანებების ანალიზით. დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად უნდა შევავარდოთ

¹⁰ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

¹¹ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

¹² იზოლდა ჭილაძე. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018

რელიზაციიდან მიღებული ამონაგები დებიტორული დავალიანების საშუალო სიდიდესთან. ფორმულის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

(1.3.9)

$$K_{\text{დ}} = \frac{\text{რელიზაციიდან ამონაგები}}{\text{დებიტორული დავალიანების საშუალო სიდიდე}}^{13}$$

დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის კოეფიციენტის ზრდა გვიჩვენებს რომ სწარმოს კრედიტით გაყიდვების შემცირებას, კოეფიციენტის შემცირება კი გაყიდვების ზრდას, გაფართოებას ნიშნავს.

დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის გასანგარიშებლად შემდეგი ფორმულები გამოიყენება:

(1.3.10)

$$\text{დებიტორული დავალიანების ინკასაცია} = \text{დებიდ.დავალ. საშუალო ნაშთი} * 365 / \text{ამონაგები რელიზაციიდან}$$

$$\text{ან } D' = T / K_{\text{დ}}$$

სადაც: D' - არის დებიტორული დავალიანების ინკასაცია.

T - არის საანგარიშგებო პერიოდი ხნგრძლივობა.

$K_{\text{დ}}$ - არის დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი

დებიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რა დრო დასჭირდება საწარმოს დებიტორული დავალიანების ამოღებისათვის.

საოპერაციო და საფინანსო ციკლის ხანგრძლივობა. საწარმოს საოპერაციო და საფინანსო ციკლის შეფასებისათვის აუცილებელია მათი ხანგრძლივობის შეფასება. საწარმოს

¹³ მერაბ. ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

საოპერაციო ციკლი რამოდენიმე ეტაპისაგან შედგება. პირველი ეტაპი: საწარმო ნედლეულისა და მარაგის შესაძენად იღებს სავაჭრო ვალდებულებებს, ასევე საწარმოს გაფართოებისათვის იძენს ძირითად საშუალებებს. მეორე ეტაპი: შეძენილი მარაგით აწარმოებს ახალ პროდუქციას. მესამე ეტაპი: წარმოებული პროდუქციას ბაზარზე აითვისებს. მეოთხე ეტაპი: რეალიზაციიდან ამონაგებს მიიღებს და დაფარავს ვალდებულებებს. ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოებში ეს პროცესი შეიძლება წელიწადში რამოდენიმეჯერ განმეორდეს. შედეგად სწარმო მიიღებს უფრო მეტ მოგებას. ამისათვის უნდა შევავსოთ საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა. საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის გაანგარიშებისათვის მატერიალური მარაგების ბრუნვის პერიოდს უნდა დავამატოთ დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი.

(1.3.11)

“საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა = მარაგების ბრუნვის პერიოდი დღეებში + დებ. დავალიანების ამოღების პერიოდი”¹⁴

ფინანსური ციკლი წარმოადგენს ნაღდი ფულის მიღების პროცესს. იგი საწარმოს ძირითად საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ფინანსური ციკლის ხანგრძლივობა გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

(1.3.12)

ფინანსური ციკლის ხანგრძლივობა = საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა - კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი

(1.3.13)

კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი =

$$\frac{\text{კრედიტორული დავალიანების საშუალო სიდიდე} * 365}{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}$$

¹⁴ იზოლდა ჭილძე. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018

**თავი 2. სს სარაჯიშვილის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების
ძირითადი მიმართულებები**

2.1 ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი

ბალანსის სტრუქტურის ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სტრუქტურის ანალიზის ჩატარების მიზნით, დანართი 1-ის მონაცემების მიხედვით გავიანგარიშეთ აქტივების ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა და წარმოვადგინეთ ცხრილში # 2.1.1. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ შვეისწავლეთ აქტივების თითოეული მუხლის წილი მთლიან აქტივებში და კაპიტალის და ვალდებულებების თითოეული მუხლის წილი მთლიან კაპიტალსა და ვალდებულებებში.

ცხრილი 2.1.1:

სს სარაჯიშვილის ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზი

(%%) 2017-2018 წელი

მაჩვენებლები	2016	2017	2018	ხვ/წ-ის გადახრა	
	ხვ/წ %	ხვ/წ %	ხვ/წ %	2017	2018
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	38,16	37,44	29,4	-0,72	-8,04
საინვესტიციო ქონება	9,65	9,5	8,5	-0,15	-1
ბიოლოგიური აქტივები	0,3	0,34	0,3	0,04	-0,04
არამატერიალური აქტივები	0,06	0,07	0,01	0,01	-0,06
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	0,004	0,004	0,02	0	0,016
სულ გრძელვადიანი აქტივები	48,17	47,35	38,23	-0,82	-9,12
მიმდინარე აქტივები					
მარაგები	34,17	35,25	38,29	1,08	3,04
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,44	16,75	22,24	-0,69	5,49
გაცემული სესხები	0,12	0,15	0,14	0,03	-0,01
ფული და ფულის ეკვივალენტები	0,1	0,5	1,1	0,4	0,6
სულ მიმდინარე აქტივები	51,83	52,65	61,77	0,82	9,06
სულ აქტივები	100	100	100	-	-

კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	14,65	14,61	13,24	-0,04	-1,37
გაუნაწილებელი მოგება	54,81	61,35	56,45	6,54	-4,9
სულ კაპიტალი	69,46	75,96	69,69	6,5	-6,27
გრძელვადიანი ვალდებულებები					
მიღებული სესხები	14,45	8,79	17,16	-5,66	8,37
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	14,45	8,79	17,16	-5,66	8,37
მიმდინარე ვალდებულებები					
მიღებული სესხები	9,21	13,15	6,47	-3,94	-6,68
საგადასახადო ვალდებულება	0,28	0,25	0,49	-0,03	0,24
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,6	1,83	6,19	-4,77	4,36
სულ მიმდინარე ვალდებულებები	16,09	15,23	13,15	-0,86	-2,08
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	100	100	100	-	-

ანალიზიდან ჩანს რომ მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი უფრო მეტია მთლიან აქტივებში ვიდრე გრძელვადიანი აქტივების. 2016 წელს და 2017 წელს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებას ვხედავთ გაუნაწილებელ მოგებაში , რომელიც 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გაიზარდა 6,5%-ით. ასევე ვალდებულებებში ცვლილებები არის გრძელვადიანი მიღებულ სესხებში და მოკლევადიან მიღებულ სესხებში, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში. კერძოდ გრძელვადიანი სესხები 5.66 %-ით შემცირდა 2017 წელს. მიმდინარე მიღებული სესხები შემცირდა 4%-ით და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შემცირდა 4,77%-ით 2017 წელს 2016 წელთან შედარებით. 2017 წელსა და 2018 წელს რომ შევადარებთ გრძელვადიანი აქტივები შემცირებულია 9,12 %-ით. მიმდინარე აქტივებში კი ყველაზე დიდ ადგილს უკავია მარაგებს. რომელიც 2017 წელთან შედარებით 2018 წელს 3,04 %-ით არის გაზრდილი. ასევე გრძელვადიანი სესხების წილი მთლიან კაპიტალსა და ვალდებულებებში გაიზარდა 8 %-ით 2018 წელს 2017 წელთან შედარებით. მაგრამ შემცირდა მიმდინარე სესხების წილი 6,68%-ით.

ბალანსის დინამიკის ანალიზი

სს სარაჯიშვილის ბალანსის ზოგადი დინამიკის ანალიზის ჩატარების მიზნით, დანართი 1-ის მონაცემების მიხედვით შევადარეთ სამი წლის ბალანსის თითოეული მუხლი. რომელიც ნაჩვენებია ცხრილში #2.1.2. სადაც 2016 წლის მონაცემები აღებულია საბაზისო წილად. ანალიზის შედეგები გვიჩვენებს რომ ზოგი ელემენტები 2016 წელთან შედარებით მნიშვნელოვად შეიცვალა.

2018 წელს აქტივებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არის ძირითად საშუალებებში, არამატერიალურ აქტივებსა და ინვესტიციებში. ძირითადი საშუალებები საბაზისო წელთან შედარებით შემცირდა 15 პროცენტით. არამატერიალური აქტივები კი 84 პროცენტით. შვილობილ კომპანიებში ჩადებული ინვესტიციები წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია. ეს მონაცემები 2017 წელს დიდად არ არის შეცვლილი.

ცხრილი 2.1.2:

სს სარაჯიშვილის ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი.


მაჩვენებლები	2017	2018	ცვლილება საბაზისო წელთან შედარებით	
	%-ად 2016 წელთან	%-ად 2016 წელთან	2017	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	99	85	-1	-15
საინვესტიციო ქონება	99	98	-1	-2
ბიოლოგიური აქტივები	100	100	0	0
არამატერიალური აქტივები	86	16	-14	-84
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	100	617	0	517
სულ გრძელვადიანი აქტივები	99	88	-1	-12
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	104	124	4	24
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	97	141	-3	41
გაცემული სესხები	105	104	5	4
ფული და ფულის ეკვივალენტები	524	1260	424	1160
სულ მიმდინარე აქტივები	102	132	2	32

სულ აქტივები	100	111	0	111
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	100	100	0	0
გაუნაწილებელი მოგება	112	114	12	14
სულ კაპიტალი	110	111	10	11
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	61	132	-39	32
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	61	132	-39	32
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები	144	78	44	-22
საგადასახადო ვალდებულება	99	207	-1	107
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28	103	-72	3
სულ მიმდინარე ვალდებულებები	95	91	-5	-9
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	100	111	0	11

მიმდინარე აქტივებში კი 2017 და 2018 წელს თითქმის ყველა ელემენტში ზრდის ტენდენცია აქვს 2016 წელთან შედარებით. მართო სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 წელს 3 პროცენტით არის შემცირებული. ასევე მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია არის გრძელვადიან ვალდებულებებში 2018 წელს.

ცხრილი #2.1.2-ის მონაცემებიდან აღებულია ბალანსის ძირითადი მაჩვენებლების პროცენტული ცვლილებები საბაზისო წელთან შედრებით და აგებულია გრაფიკი #2.1.

გრაფიკი 2.1.



საიდანაც ჩანს, რომ 2017 წელს გრძელვადიანი აქტივების საერთო მოცულობა შემცირდა 1%-ით, ეს მაჩვენებელი 2018 წელს შეადგენს - 12%-ს. მიმდინარე აქტივების საერთო მოცულობა გაიზარდა 2017 წელს 2%-ით, 2018 წელს კი 32%-ით. კაპიტალის ცვლილება კი თითქმის იგივეა. 2017 წელს გაიზარდა 10%-ით, 2018 წელს კი 11%-ით. გრძელვადიანი ვალდებულებები მკვეთრად შემცირებული იყო საბაზისო წელთან შედარებით 2017 წელს. კერძოდ ეს პროცენტულად იყო 39%. მაგრამ 2018 წელს გრძელვადიანი აქტივები 32%-ით გაიზარდა საბაზისო წელთან შედარებით. მიმდინარე ვალდებულებები 2017 წელს 5%-ით, 2018 წელს 9%-ით შემცირდა.

2.2 ქონებრივი მდგომარეობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზი

სს სარაჯიშვილის ქონებრივი მდგომარეობის ზოგადი დინამიკური ინფორმაცია მოცემულია ცხრილიში #2.2.1. სადაც 2016 წელი აღებულია საბაზისო წლად და 2017, 2018 წლების მონაცემები შედარებულია 2016 წელთან. ანალიზის შედეგად შეიძლება ვთქვთ, რომ სს სარაჯიშვილის ქონებრივი მდგომარეობა გაიზარდა 2017 და 2018 წელს 2016 წელთან შედარებით. 2017 წელის სს სარაჯიშვილის ქონებრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა 2016 წელთან შედარებით. მაგრამ თვით ქონების ზრდის ტემპში ცვლილებას ვერ ვხედავთ. 2018 წლის მონაცემები კი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქონებრივი მდგომარეობა. 2016 წელთან შედარებით საწარმოს მთლიანი აქტივების ღირებულება გაიზარდა 7,678,771 ლარით. ასევე ქონების ზრდის ტემპიც მაღალია და შეადგენს 11 პროცენტს. ქონებრივი მდგომარეობის ზრდის ტემპის ძირითადი მიზეზი არის საბრუნავი საშუალებების ზრდის ტემპის მატება. 2018 წელს გრძელვადიან აქტივებში მომხდარი ცვლილები შემცირებით ხასიათდება. კერძოდ, შემცირდა ძირითადი საშუალებების ზრდის ტემპი 15%-ით 2016 წელთან შედარებით. ძირითად საშუალებებში მომხდარი ცვლილება თანხობრივად 3,528,278 ლარია. სხვა უარყოფით ცვლილებებს ვნახავთ საინვესტიციო ქონებაშიც, რომელიც ყოველწლიური ცვეთის თანხაა. მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილება არის არამატერიალური აქტივებშიც, რომელიც 2016 წელთან შედარებით 2018

წელს 84 %-ით შემცირდა. რაც შეეხება საბრუნავი საშუალებებს მთლიანობაში გაიზარდა 2016 წელთან შედარებით 2017 წელს 2%-ით, 2018 წელს კი 32%-ით.

ცხრილი 2.2.1:

სს სარაჯიშვილის ქონებრივი მდგომარეობის ზოგადი მაჩვენებლები

(ლარი)

მაჩვენებლები	2016 წ	2017 წ	2018 წ	ცვლილება წინა წელთან შედარებით	
				2017 წ	2018 წ
აქტივები	70537705	70832194	78216476	+294489	+7678771
ძირითადი საშუალებები	26895684	26517508	22989230	-378176	-3528278
საინვესტიციო ქონება	6798604	6731052	6663500	-67552	-67552
ბიოლოგიური აქტივები	238275	238275	238275	-	-
არამატერიალური აქტივები	54076	46640	8711	-7436	-37929
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	3000	3000	18500	-	+15500
საბრუნავი საშუალებები	36548066	37295719	48298260	747653	11002541
ქონებრივი მდგომარეობის ცვლილება %-ად	-	0	+11	-	+11
ძირითადი საშუალებების ცვლილება %-ად	-	-1	-15	-1	-14
საინვესტიციო ქონების ცვლილება %-ად	-	-1	-2	-1	-1
ბიოლოგიური აქტივების ცვლილება %-ად	-	0	0	-	-
არამატერიალური აქტივების ცვლილება %-ად	-	-14	-84	-	-70
სხვა გრძ. აქტივების ცვლილება %-ად	-	0	517	-	+517

საბრუნავი საშუალებების ცვლილება %-ად	-	+2	+32	-	+30
--	---	----	-----	---	-----

ქონებრივი მდგომარეობის დინამიკური ანალიზის შემდეგ სტრუქტურის ანალიზიც ჩავატარეთ. რომელიც გვიჩვენებს საწარმოს ქონების თითოეული მაჩვენებლის წილს მთლიანობაში. ანალიზის დროს უნდა შესწავლილი იქნეს საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური, არამატერიალური აქტივებისა და ფულადი თანხების მოცულობა და სტრუქტურული მაჩვენებლები.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის სტრუქტურის ანალიზის ჩატარების მიზნით, დანართი 1-ის მონაცემების მიხედვით შევადგინეთ ცხრილი # 2.2.4

სს სარაჯიშვილის აქტივების მოცულობა 2017 წელს 2016 წელთან შედარებით 294,489 ლარით გაიზარდა. აქედან მთლიანი გაზრდის წილი მიმდინარე აქტივებზეა. ძირითადი საშუალებები 37,176 , საინვესტიციო ქონება 67,552 , არამატერიალური აქტივები 7,436, მოთხოვნები 41,895 ლარით შეამცირა აქტივები. ამის მიუხედავად გაიზარდა მარაგების მოცულობა 872,126 , გაცემული სესხები 4,577, ფულის მოცულობა კი 289,602 ლარით.

ცხრილი 2.2.2:

სს სარაჯიშვილის აქტივების სტრუქტურა

(2016-2018 წწ) (%%)

მაჩვენებლები	2016 წ	2017 წ	2018 წ	ცვლილება წინა წელთან შედარებით	
	ხვ/წ	ხვ/წ	ხვ/წ	2017 წ	2018 წ
				ხვ/წ	ხვ/წ
აქტივები	100	100	100	-	-
ძირითადი საშუალებები	38,1	37,44	29,4	-0,66	-8,04
საინვესტიციო ქონება	9,6	9,5	8,5	-0,9	-1

ბიოლოგიური აქტივები	0,3	0,34	0,3	0,04	0
არამატერიალური აქტივები	0,08	0,07	0,01	-0,01	-0,06
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	0,004	0,004	0,02	0	0,016
მარაგები	34,2	35,25	38,3	1,05	3,04
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,4	16,75	22,23	-0,65	5,48
გაცემული სესხები	0,14	0,15	0,14	0,01	-0,01
ფული და ფულის ეკვივალენტები	0,1	0,5	1,1	0,4	0,6

საანალიზო საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე შევადგინეთ დიაგრამა #2.2. სადაც მოცემულია მთლიან აქტივებში გრძელვადიანი აქტივების და მოკლევადიანი აქტივების წილი. 2016 წელს გრძელვადიანი აქტივების წილი შეადგენს 52%-ს. ეს მაჩვენებელი 2017 წელს გაიზარდა 1%-ით, 2018 წელს კი 9%-ით. მიმდინარე აქტივები კი პირიქით შემცირდა იგივე მოცულობებით.

დიაგრამა 2.2:

სს სარაჯიშვილის აქტივების სტრუქტურის დიაგრამა



გრძელვადიან აქტივებში ყველაზე დიდი ადგილი უკავია ძირითადი საშუალებებს.

ანალიზისათვის შედგინლ ცხრილში (ცხრილი #2.2.3) მოცემულია საანალიზო საწარმოს განკარგულებაში არსებული ძირითადი საშუალებების სახეობები, მათი სტრუქტურა და ცვლილებები წლების მიხედვით

საანალიზო საწარმო წარმოების სექტორშია და მანქანა დანადგარებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სწარმოს ფუნქციონირებაში. თვით ძირითადი საშუალებები შედგება აქტიური და პასიური ნაწილებისაგან. აქტიური ნაწილს მიეკუთვნება მანქანა დანადგარები, კომპიუტერული ტექნიკები და ოფისის აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები. ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ მთლიანობაში ძირითადი საშუალებების მოცულობა ორივე წელს შემცირდა. 2017 წელს 378,176 ლარით, 2018 წელს 3,528,278 ლარით. ძირითადი საშუალებებზე ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი გააჩნია მიწასა და შენობა ნაგებობებს.

ცხრილი 2.2.3:

სს სარაჯიშვილის ძირითადი საშუალებების სტრუქტურა

2016-2018 წელი

მაჩვენებლები	2016 წ		2017 წ		2018 წ		ცვლილება წინა წელთან შედარებით	
	ლარი	ხვ/წ %	ლარი	ხვ/წ %	ლარი	ხვ/წ %	2017 წ	2018 წ
							ხვ/წ%	ხვ/წ%
ძირითადი საშუალებები	26895684	100	26517508	100	22989230	100	-	-
მიწა	10977293	40,8	10977293	41,4	8979998	39	0,6	-2,4
შენობა-ნაგებობები	7374795	27,4	7218885	27,2	7030151	30,6	-0,2	3,4
მანქანა-დანადგარები	1214035	4,5	1153527	4,4	1296297	5,6	-0,1	1,2
მუხის გასრები	2457065	9,1	2391092	9	2643807	11,5	-0,1	2,5
.ავეჯი და ინვენტარი	224818	0,8	227406	0,8	268252	1,2	0	0,4
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	301168	1,2	309385	1,2	342330	1,5	0	0,3
სატრანსპორტო საშუალებები	556910	2,1	594127	2,2	1051627	4,6	0,1	2,4
ვენახები	3712264	13,8	3573937	13,5	1130713	4,9	-0,3	-8,6
სხვა ძირითადი საშუალებები	77336	0,3	71856	0,3	246055	1,1	0	0,8

საანალიზო სწარმოს ფონდუკუგება გაანგარიშებულია 2017 და 2018 წლის მონაცემების საფუძველზე. რომელიც მოცემულია ცხრილიში #2.2.4.

ცხრილი 2.2.4:

სს სარაჯიშვილის ძირითადი საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები

N	მაჩვენებლები	პირობითი აღნიშვნები	2017	2018	ცვლილება	
					აბსოლუტური	შეფარდებითი %
1	რეალიზებული პროდუქციის მოცულობა	X	23773936	29638678	+5864,742	+24,7
2	ძირითადი საწარმო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება	Y	26706596	22989230	-3717366	-14
3	ფონდუკუგება 1/2 (ლარებში)	Q	0,89	1,29	+0,4	+45
4	ფონდტევადობა 2/1 (ლარებში)	A	1,12	0,78	-0,34	-31

ანალიზის შედეგიდან ჩანს, რომ სს სარაჯიშვილის რეალიზებული პროდუქციის ერთ ლარზე ძირითადი საწარმო ფონდების ღირებულება ზრდის ტენდენციით არის 2017-2018 წლებში. კერძოდ ფონდუკუგების მაჩვენებელი გაიზარდა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით 45 %-ით. ფონდუკუგების ცვლილებაზე გავლენას ახდენს რეალიზებული პროდუქციის მოცულობა და ძირითადი საწარმო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება. ამ ფაქტორების თითოეულის გავლენის სიდიდის გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ ჯაჭვური ჩასმის ხერხს.

პირველი ფაქტორი: რეალიზებული პროდუქციის მოცულობის გავლენის სიდიდე ტოლია:

$$Q_0 = X_0/Y_0 = 23773936 / 26706596 = 0,89$$

$$Q'_1 = X_1/Y_0 = 29638678 / 26706596 = 1,11$$

$$\pm\Delta_1 = Q' - Q_0 = X_1/Y_0 - X_0/Y_0 = 29638678 / 26706596 - 23773936 / 26706596 = 1,11 - 0,89 = 0,22$$

მეორე ფაქტორი: ძირითადი საწარმო ფონდების გავლენის სიდიდე ტოლია:

$$Q' = X_1/Y_0 = 29638678 / 26706596 = 1,11$$

$$Q_1 = X_1/Y_1 = 29638678 / 22989230 = 1,29$$

$$\pm\Delta_2 = Q_1 - Q' = X_1/Y_1 - X_1/Y_0 = 29638678 / 24753369 - 29638678 / 26706596 = 1,29 - 1,11 = 0,18$$

ყველა ფაქტორის ცვლილებების ჯამი უნდა მოგვცეს ფონდუკუგების საერთო გადახრის სისიდეს.

$$\pm\Delta = \pm\Delta_1 \pm \Delta_2 = 0,22 + 0,18 = 0,4$$

ფონდუკუგების გაუმჯობესობის ძირითადი მიზეზი არის რეალიზაციის მოცულობის ზრდა, რომელმაც გავლენა მოახდინა 0,22-ით. ძირითადი საწარმო ფონდების შემცირება გარკვეულწილად გავლენა მოახდინა, რომლის სიდიდეც 0,18 არის.

ძირითადი საშუალებების ხარისხის შესწავლის მიზნით გამოიყენება ძირითადი საშუალებების მდგომარეობის შემდეგი კოეფიციენტები:

- ✓ ცვეთის კოეფიციენტი
- ✓ ვარგისიანობის კოეფიციენტი
- ✓ განახლების კოეფიციენტი

ცხრილი 2.2.5:

სს სარაჯიშვილის ძირითადი საშუალებების მოცულობა და მოძრობა

წელი	მაჩვენებლები	წლის დასაწყისი	მიღებულია წლის განმავლობაში	გასულია წლის განმავლობაში	წლის ბოლოს
2018	ძირითადი საშუალებები	40,216,935	2,130,426	5,028,528	37,318,833
	წლიური ცვეთა:	14,329,603			

2017	ძირითადი საშუალებები	39,816,774	543,997	143,836	40,216,935
	წლიური ცვეთა:	13,699,427			

სს სარაჯიშვილის ძირითადი საშუალებების მოძრაობა წლის მანძილზე მოცემულია ცხრილში #2.2.5. საიდანაც ჩანს რომ ძირითადი საშუალებების მოცულობა 2017 წელს გაიზარდა წლის ბოლოს წლის დასაწყისთან შედარებით. 2018 წელს კი წლის ბოლოს შემცირდა წლის დასაწყისთან შედარებით.

განახლების კოეფიციენტი გვიჩვენებს სს სარაჯიშვილის ძირითადი საშუალებების განახლების დონეს, ანუ საიდანაც ვხედავთ, რომ 2018 წელს ახალ მიღებული ძირითადი საშუალებები არსებულის 5 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 2017 წელს 1.4%-ს შეადგენდა.

2018: $K_{\text{განახლების}} = 2,130,426 / 40,216,935 * 100 = 5,3\%$

2017: $K_{\text{განახლების}} = 543,997 / 39,816,774 * 100 = 1,4\%$

სს სარაჯიშვილის ძირითადი საშუალებების გასვლის კოეფიციენტის გაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2018 წელს საწარმოდან გასული ძირითადი საშუალებები წლის დასაწყისში არსებულის 12,5 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 2017 წელს 0.4%-ს შეადგენდა.

2018: $K_{\text{გასვლის}} = 5,028,528 / 40,216,935 * 100 = 12,5\%$

2017: $K_{\text{გასვლის}} = 143,836 / 39,816,774 * 100 = 0,4\%$

ცვეთის კოეფიციენტის გაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2018 წელს სს სარაჯიშვილის ძირითადი საშუალებების 36 პროცენტი არის გადასული წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში. ეს მაჩვენებელი 2017 წელს 2%-ით ნაკლები იყო.

2018: $K_{\text{ცვეთის}} = 14,329,603 / 40,216,935 * 100 = 36\%$

2017: $K_{\text{ცვეთის}} = 13,699,427 / 39,816,774 * 100 = 34\%$

2018: $K_{\text{ვარგისიანობის}} = 40,216,935 - 14,329,603 / 40,216,935 * 100 = 64\%$

$K_{\text{გვეთის}} + K_{\text{ვარგისიანობის}} = 0,36 + 0,64 = 1$

2017: $K_{\text{ვარგისიანობის}} = 39,816,774 - 13,699,427 / 39,816,774 * 100 = 66\%$


$K_{\text{გვეთის}} + K_{\text{ვარგისიანობის}} = 0,34 + 0,66 = 1$

ვარგისიანობის კოეფიციენტი გვიჩვენებს რომ 2018 წელს ძირითადი საშუალებების 64 პროცენტი რჩება საწარმოში. 2017 წელს კი ეს მაჩვენებელი 66% იყო.

საქმიანი აქტივობის ანალიზი


სს სარაჯიშვილის ფინანსური ანგრიშგების მონაცემებიდან ჩანს რომ რეალიზებული პროდუქციის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. ეს კი ავანსირებული სახსრების სწრაფი ბრუნვისათვის დადებითი მოვლენაა. სს სარაჯიშვილის რეალიზაციის მონაცემები 2016-2018 წლის მონაცემების საფუძველზე მოცემულია დიაგრამაზე #2.3 .

დიაგრამა 2.3



სს სარაჯიშვილის რეალზაციის უდიდესი მოცულობა ექსპორტის წილზე მოდის. 2018 წლის რეალიზებული პროდუქციის პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე #2.4. საიდანაც ჩანს, რომ 2018 წელს რეალიზებული პროდუქციის 73 % საექსპორტო ბაზრებზე, 23% კი ადგილობრივი ბაზარზე მოდის.

სს სარაჯიშვილის 2018 წლის რეალიზებული პროდუქციის დიაგრამა



საქართველოდან ალკაჰოლური სასმელების ექსპორტის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სს სარაჯიშვილს, რომლის პროცენტული წილი არის 18 %.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია 2018 წლის ღვინის ბრენდის ექსპორტის შესახებ მთლიანი საქართველოს და სს სარაჯიშვილის ექსპორტის მონაცემები მოცემულია ცხრილიში #2.2.6.

ცხრილი 2.2.6

ღვინის ბრენდის ექსპორტი


2018 წელი

საქართველო 2018 წ			სს სარაჯიშვილი 2018 წ		
ქვეყნები	მლნ ლიტრი	მლნ დოლარი	ქვეყნები	მლნ ლიტრი	მლნ დოლარი
რუსეთი	4,7	20	ბელარუსი	0,5	2,6
უკრაინა	4,1	15,6	უკრაინა	0,3	1,4
ბელარუსია	0,8	4	ყაზახეთი	0,3	1,4

2018 წელს საექსპორტო ბაზრებიდან ყველაზე დიდი ადგილებს ეკავა ბელარუსიას, უკრაინას, ყაზახეთსა და რუსეთს. მათი წილი მთლიანი საექსპორტის 89%-ს შეადგენს. საექსპორტო ბაზრების სტრუქტურა მოცემულია დიაგრამაზე #2.5.

დიაგრამა 2.5:

სს სარაჯიშვილის ექსპორტი 2018 წელს



საწარმოს საქმიანი აქტივობის ზოგადი შეფასებისათვის გამოიყენება მოგების ზრდის ტემპი, რეალიზაციის ზრდის ტემპი და აქტივების ზრდის ტემპი. სს სარაჯიშვილის მოგების ზრდის ტემპის, რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ზრდის ტემპის და აქტივების ზრდის ტემპის ცვლილებები 2016, 2017 და 2018 წლის მონაცემების მიხედვით მოცემულია ცხრილიში #2.1.7.

სს სარაჯიშვილის საქმიანი აქტივობის ზოგადი შეფასება

(მლნ ლარებში)

N	მაჩვენებლები	2016	2017	2018	ცვლილება წინა წელთან	
					2017	2018
1	ამონაგები რეალიზაციიდან	20	23,7	29,6	3,7	5,9
2	წმინდა მოგება	3,2	6,5	8	3,3	1,5
3	აქტივები	70,5	70,8	78,2	0,3	7,3
4	რალიზაციიდან მიღებული ამონაგების ზრდის ტემპი %	-	18,5	24,7	-	6,2
5	მოგების ზრდის ტემპი %	-	103	23,9	-	-79,1
6	აქტივების ზრდის ტემპი %	-	0,4	10,4	-	10

როგორც ჩანს საანალიზო საწარმოს ზრდის ტემპის მიხედვით 2017 წელს სამივე პირობა შესრულებულია. კერძოდ რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ზრდის ტემპი 18,5 პროცენტით გაიზარდა რომელიც წინ უსწრებს აქტივების ზრდის ტემპს. მოგების ზრდის ტემპი გაიზარდა 103 პროცენტამდე. რომელიც წინ უსწრებს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ზრდის ტემპს. და სამივე მაჩვენებელი 100%-ზე მეტია.

2018 წელს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ზრდის ტემპი წინ უსწრებს მოგების ზრდის ტემპს. მიუხედავად იმისა 2017 წელთან შედარებით 2018 წელს წმინდა მოგება გაიზარდა. მაგრამ მოგების ზრდის ტემპი შემცირდა წინა წელთან შედარებით.

სს სარაჯიშვილის საბრუნავი საშუალებების დინამიკა

2017-2018 წწ (%-ად 2016 წელთან)

მაჩვენებლები	2017 წ	2018 წ
საბრუნავი საშუალებები	102	132
მარაგები	104	125
გაცემული სესხებ	110	110
მოთხოვნები	97	141
მ.შ		
ფინანსური მოთხოვნები	90	96
სავაჭრო მოთხოვნები	95	101
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	118	124
არაფინანსური მოთხოვნები	188	800
გადახდილი ავანსები	146	546
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	67	667
გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვი	100	180
ფული და ეკვივალენტები	571	1286
ნაღდი ფული	500	100
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	333	-
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნული ვალუტაში	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1000	50000

საწარმოს საქმიანი აქტივობის ზოგადი ანალიზის შემდეგ, საბრუნავი საშუალებების დინამიკური ანალიზიც ჩავატარეთ (ცხრილი #2.2.8). რომლის მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ რომ, საანალიზო საწარმოში საბრუნავი საშუალებებს ზრდის ტენდენცია გაჩნია. კერძოდ მნიშვნელოვად გაიზარდა არაფინანსური მოთხოვნები 2017 და 2018 წელს 2016 წელთან შედარებით. მარაგებს და ფულადი საშუალებებსაც ზრდის ტემპი აქვს.

საწარმოს საქმიანი აქტივობის შეფასებისათვის საჭირო კოეფიციენტების გაანგარიშებისათვის გამოვიყენებთ დანართი 1-ის მონაცემებს ცხრილში # 2.2.9.

სს სარაჯიშვილის საქმიან აქტივობის კოეფიციენტები

2017-2018 წწ

N	მაჩვენებლები	2017	2018	აბსოლუტური ცვლილება	შეფარდებითი ცვლილება %
1	ამონაგები რეალიზაციიდან (მლნ ლარი)	23,7	29,6	5,9	+25
2	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (მლნ ლარი)	10,9	14	3,1	+28
3	საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური სიდიდე (მლნ ლარი)	36,9	42,8	5,9	+14
4	მარაგების საშუალო წლიური სიდიდე (მლნ ლარი)	24,5	27,5	3	+12
5	დებიტორული დავალიანების საშუალო წლიური სიდიდე (მლნ ლარი)	12,1	14,7	2,6	+21
6	კრედიტორული დავალიანებების საშუალო სიდიდე (მლნ ლარი)	11,1	10,55	-0,55	-5
7	კრ. დავალიანების დაფარვის პერიოდი (დღე) (6*365)/1	171	130	-41	-24
8	დებ. დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი 1/5	1,96	2,01	+0,05	+3
9	დებ. დავალიანების ინკასაცია 365/8	186	182	-4	-2
10	მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი (რიცხვი) 1/4	0,97	1,08	+0,11	+11
11	მარაგების დამაგრების კოეფიციენტი (მლნ ლარი) 4/2	2,25	2	-0,25	-11
12	მარაგების ბრუნვალობა დღეებში 365/10	376	338	-38	-10
13	საბ. კაპ. ბრუნვალობის კოეფიციენტი (ჯერებში) 1/3	0,55	0,69	+0,14	+25
14	საბ. კაპ. დამაგრების კოეფიციენტი 3/1	1,55	1,45	-0,1	-6
15	საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდის ხანგრძლივობა (3*365)/1	568	528	-40	-7

16	სოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა 12+9	562	520	-42	-8
17	საფინანსო ციკლის ხანგრძლივობა (დღე) 16-7	391	390	-1	-0,3

დებიტორული დავალიანებების ბრუნვაობის კოეფიციენტის ზრდა გვიჩვენებს რომ სწარმოს კრედიტით გაყიდვების შემცირებას, კოეფიციენტის შემცირება კი გაყიდვების ზრდას, გაფართოებას ნიშნავს. როგორც ჩანს სს სარაჯიშვილის დებიტორული დავალიანების ბრუნვაობის კოეფიციენტი გაიზარდა 2018 წელს წინა წელთან შედარებით. ანუ კრედიტით გაყიდვების დონე შემცირდა. 2018 წელს ეს კოეფიციენტი 2017 წელთან შედარებით 3% ით გაიზარდა.

საანალიზო საწარმოს **დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდი** 2018 წელს მცირედი მაინც შემცირდა. 2018 წელს დებიტორული დავალიანების ამოღებისათვის საშუალოდ დასჭირდა 182 დღე, რომელიც 2017 წელს იყო 186 დღე. ანუ დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდი 2018 წელს 2%-ით შემცირდა.

სს სარაჯიშვილის **მარაგების ბრუნვაობის კოეფიციენტი** 2018 წელს გაიზარდა 11 %-ით 2017 წელთან შედარებით. რომელიც 2018 წელს 1,08 ჯერ ბრუნავს წარმოებაში.

სს სარაჯიშვილის **მარაგების შენახვის ვადა** მაღალია ორივე წელს. ეს საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა სს სარაჯიშვილის მარაგების შენახვის ვადა 2018 წლის მანძილზე 10%-ით შემცირდა. რომელიც 2017 წელს 38 დღით მეტი იყო 2018 წელთან შედარებით.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის კოეფიციენტი ამ საშუალებით შეიძლება გავიგოთ რამდენჯერ შემობრუნდება ავანსირებული კაპიტალი ერთი წლის მანძილზე. ამ კოეფიციენტის შებრუნებული ვერსიით შეიძლება გავიგოთ თუ ერთი ლარის შემოსავლის მიღებისთვის რამდენი ლარის კაპიტალის დაბანდება არის საჭირო. რომელსაც **დამაგრების კოეფიციენტს** ეწოდება. სს სარაჯიშვილის მონაცემებიდან ჩანს რომ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის კოეფიციენტი გაიზარდა 25%-ით. სს სარაჯიშვილის 1 ლარი შემოსავლის

მიღებისათვის საჭირო კაპიტალის სიდიდე 6%-ით შემცირდა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობა გვიჩვენებს საბრუნავი კაპიტალის ერთი ბრუნვისათვის რამდენი დღე არის საჭირო. სს სარაჯიშვილის მონაცემების საფუძველზე ჩატარებული ანალიზიდან ჩანს, რომ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობა 2018 წელს შემცირდა 40 დღით 2017 წელთან შედარებით.

საოპერაციო და საფინანსო ციკლის ხანგრძლივობა როცა შემცირდება ეს დადებითი მოვლენაა. სს სარაჯიშვილის საოპერაციო ციკლი 8%-ით , საფინანსო ციკლი კი 0.3%-ით შემცირდა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.

2.3 ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზი

ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

“გადახდისუნარიანობა ნიშნავს საწარმოს უნარს, დროულად დაფაროს ვალდებულებები რომლებიც წარსული საქმიანობის შედეგად არის წარმოქმნილი.”¹⁵ საწარმოს მენეჯერები დაინტერესებული არიან მისი გადახდისუნარიანობის დონის გაუმჯობესებით რომ თავის დროზე დაფარონ ვალდებულებები. არ გადაიხადონ ვადაგაცილებული ვალდებულებებზე ჯარიმები. საწარმოს გადახდისუნარიანობის დონით არამარტო შიდა მომხმარებლები არიან დაინტერესებული, არამედ გარე მომხმარებლებიც არიან დაინტერესებულნი. გარე მომხმარებლას მიეკუთვნება ინვესტორები, ბანკები, პარტნიორები და ა.შ.

საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზისათვის უნდა შევადაროთ საწარმოს მიმდინარე აქტივები და მიმდინარე ვალდებულებები. შედეგად გავიგებთ ფარავს თუ არა მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს. როცა მიმდინარე აქტივები მეტია მიმდინარე

¹⁵ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი 2011

ვალდებულებებზე, ესე იგი გადახდისუნარიანობაც მაღალია. თუ პირიქით აქტივების ნაკლებობა იქნება, ესე იგი საწარმოში არსებობს კაპიტალის დეპიციტი. “საწარმოს გადახდისუნარიანობა შეიძლება იყოს შემთხვევითი, დროითი, ხანგრძლივი და ქრონიკული.”¹⁶ საწარმოს გადახდისუნარიანობის დონის ცვლილება დამოკიდებულია ლიკვიდურობის დონეზე. როცა ლიკვიდურობის დონე დაბალია მაშინ ვალდებულებების დაფარვაც გაძნელებულია და შედეგად გადახდისუნარიანობის დონეც მცირდება.

ლიკვიდურობაში იგულისხმება საწარმოს უნარი, რომ დაფაროს თავისი ვალდებულებები ადვილად რეალიზებადი აქტივებით. ლიკვიდურობას სხვადასხვა სახელმძღვანელოში სხვანაირად არის განმარტებული. ავტორების უმრავლესობა წერს რომ ლიკვიდურობა არის საწარმოს თავისი ვალდებულებების დროული შესრულების უნარი.

საწარმო ითვლება ლიკვიდურად, მაშინ როდესაც მისი მიმდინარე აქტივების ღირებულება აღემატება მის მოკლევადიან ვალდებულებებს.

განასხვავებენ ლიკვიდურობის სამი სახეობას:

1. მიმდინარე ლიკვიდურობის- დებიტორული დავალიანებებისა და ფულადი საშუალებების შესაბამისობა.
2. გაანგარიშებითი -ლიკვიდურობის - საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების პირობებში აქტივისა და პასივის ქვეგნაყოფების შესაბამისობას მათი ბრუნვადობის ვადების მიხედვით.
3. სწრაფი ლიკვიდურობის- “საწარმოს ვალდებულებების დაფარვის უნარი საწარმოს ლიკვიდაციის პირობებში.”¹⁷

ფულადი საშუალებებზე გადაქცევის სისწრაფის მიხედვით განასხვავებენ აქტივების შემდეგ სახეობებს:

- აბსოლუტურად ლიკვიდური აქტივები (A₁) - ფული და მისი ეკვივალენტები

¹⁶ ანა ჩეჩელაშვილი. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2013

¹⁷ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

- სწრაფად რეალიზებადი აქტივები (A_2)- დებიტორული დავლიანებები
- ნელა რეალიზებადი აქტივები (A_3) - მარაგები
- ძნელად რეალიზებადი აქტივები (A_4) - გრძელვადიანი აქტივები

დაფარვის ვადის მიხედვით ვალდებულებებიც ოთხ ჯგუფად იყოფა:

- ყველაზე სწრაფად დასაფარი ვალდებულებები (P_1) - მოკლევადიან სავაჭრო ვალდებულებები
- მოკლევადიანი ვალდებულებები (P_2) - მოკლევადიანი სესხები
- გრძელვადიანი ვალდებულებები (P_3) - გრძელვადიანი სესხები
- მყარი პასივები (P_4) - საკუთარი კაპიტალის მუხლები

ბალანსის ლიკვიდურობის შეფასებისთვის არსებობს შემდეგი 4 პირობა:

1. $A_1 \geq P_1$
2. $A_2 \geq P_2$
3. $A_3 \geq P_3$
4. $A_4 \geq P_4$

თუ ეს ოთხი პირობა შესრულდება ესე იგი ბალანსი აბსოლუტურად ლიკვიდურია. თუ პირველი სამიდან ერთ-ერთი მაინც არ შესრულდება, მაშინ ეს მეტყველებს ბალანსის ლიკვიდურობის დარღვევაზე.

აქტივებისა და ვალდებულებების მესამე ჯგუფის შედარებით შეიძლება მივიღოთ საწარმოს პერსპექტიული ლიკვიდურობა.

პერსპექტიული ლიკვიდურობა = $A_3 - P_3$

გადახდისუნარიანობის შეფასებისათვის არსებობს ლიკვიდურობის შემდეგი კოეფიციენტები: აბსოლუტური, შუალედური და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

აბსოლუტური (მიმდინარე) ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის ფულადი საშუალებების და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების ჯამს უნდა შევაფარდოთ მიმდინარე ვალდებულებებთან:

(2.3.1)

$$K = \frac{\text{ფულადი საშუალებები} + \text{მოკლევადიანი ფინანსურ დაბანდებები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

ამ კოეფიციენტის დახმარებით შეიძლება გავიგოთ ფულადი საშუალებების რა მოცულობით შეიძლება მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა. ამ კოეფიციენტის მისაღები ნორმა საერთაშორისო პრაქტიკაში 0.2-ზე მეტია. უმრავლეს შემთხვევაში 0.2-სა და 0.3-ს შორის მერყეობს.

შუალედური (სწრაფი) ლიკვიდურობის კოეფიციენტი განისაზღვრება ფულადი საშუალებების და მოკლევადიანი მოთხოვნების ჯამის მიმდინარე ვალდებულებებთან თანაფარდობით.

(2.3.2)

$$K = \frac{\text{ფულადი საშუალებები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტს ზოგი სახელმძღვანელოში სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტსაც უწოდებენ რომელიც გვიჩვენებს არსებული ფულადი საშუალებებით და მიმდინარე პერიოდში მისაღები ფულადი საშუალებით მიმდინარე ვალდებულებების სრულიად დაფარვა შესაძლებელია თუ არა. ეს კოეფიციენტი თუ 1:1-ზე იქნება დამაკმაყოფილებელი შედეგია. მაგრამ არსებობს იმის ალბათობა რომ საწარმო მოთხოვნების მიღებას თავის დროზე ვერ მოახერხებს და კოეფიციენტის 1:1-ზე თანაფარდობა არ იყოს დამაკმაყოფილებელი. ამიტომ 1,5:1-ზე უფრო კარგი შედეგია.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი განისაზღვრება მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან თანაფარდობით.

(2.3.3)

$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ საწარმოში არსებული მიმდინარე აქტივებით შეუძლია თუ არა ვალდებულებების დაფარვა. საერთაშორისო გამოცდილებებით ეს კოეფიციენტი 2-3ს შორის უნდა იყოს.

სს სარაჯიშვილის ლიკვიდურობის ანალიზი.

ცხრილი 2.3.1

ბალანსის ლიკვიდურობის შეფასების მაჩვენებლები

2016-2018 წელი

N	თანაფარდობა	2016	2017	2018
1	$A_1 \geq P_1$	0,07<4,7	0,4<1,3	0,9<4,8
2	$A_2 \geq P_2$	12,3>6,5	11,9>9,3	17,4>5,1
3	$A_3 \geq P_3$	24,1>10,2	25>6,2	30>13,4
4	$A_4 \leq P_4$	34<49	33,5<54	29,9<55

ლიკვიდურობის ზოგადი შეფასების მონაცემები გვიჩვენებს რომ სს სარაჯიშვილის სამი წლის მონაცემიდან არც ერთში პირველი პირობა არ შესრულებულა. ანუ პირველი პირობის თანახმად საწარმოს აბსოლუტურად ლიკვიდური აქტივები ანუ ფულადი საშუალებები მეტი უნდა ყოფილიყო სწრაფად დასაფარი ვალდებულებებზე ანუ სავაჭრო ვალდებულებებზე. საწარმოს როგორც ჩანს სამივე წელს ფულის დეფიციტი ჰქონია. სს სარაჯიშვილის მონაცემების საფუძველზე შესრულდა მეორე და მესამე პირობა. რომლის თანახმად მეტია სწრაფად რეალიზებადი აქტივები მოკლევადიან სესხებზე და მარაგების მთლიანი ღირებულება მეტია გრძელვადიან სესხებზე. ანუ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებით დაიფაროს ვალდებულებები. ასევე შესრულებულია მეოთხე პირობაც. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მეტია გრძელვადიან აქტივებზე.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი

2016-2018 წელი

N	მაჩვენებლები	2016	2017	2018	გადახრა წინა წელთან	
					2017	2018
1	ფულადი საშუალებები (მლნ ლარი)	0,07	0,4	0,9	0,33	0,5
3	მიმდინარე ვალდებულებები (მლნ ლარი)	11,4	10,8	10,3	-0,6	-0,5
4	აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი (1+2)/3	0,01	0,04	0,09	0,03	0,05

2016 წლის მონაცემიდან ჩანს, რომ სს სარაჯიშვილის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0,01-ს შეადგენს.

2017 წლის მონაცემების მიხედვით კი სს სარაჯიშვილის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0,04-ს შეადგენს.

2018 წელს სს სარაჯიშვილის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა და 0,09-ს შეადგენს.

მიუხედავად იმისა ყოველწლიურად მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა, მაინც კოეფიციენტის დონე დაბალია. ამ კოეფიციენტის მიხედვით საწარმოს შეუძლია 2016 წელს ფულადი საშუალებებით თავისი ვალდებულებების მხოლოდ 1 %-ის დაფარვა, 2017 წელს 4%-ის, 2018 წელს კი 9%-ის.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი

2016-2018 წელი

N	მაჩვენებლები	2016	2017	2018	გადახრა წინა წელთან	
					2017	2018
1	ფულადი საშუალებები (მლნ ლარი)	0,07	0,4	0,9	0,33	0,5
2	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მლნ ლარი)	12,3	11,9	17,4	-0,4	5,5
3	მიმდინარე ვალდებულებები (მლნ ლარი)	11,4	10,8	10,3	-0,6	-0,5
4	სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1,09	1,14	1,78	0,05	0,64

სს სარაჯიშვილის სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი სამივე წელს ზრდის ტენდენციით ხასიათდება. როგორც აღვნიშნეთ ეს კოეფიციენტი 1:1 ზე მაინც უნდა იყოს რომ არ გაუჭირდეს საწარმოს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა. ჩვენი ანალიზიდან როგორც ჩანს 2016 წელს სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1,09-ს შეადგენს. ეს არის დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი. 2017 წელს ეს მაჩვენებელი ისევ გაუმჯობესდა და არის 1,14 . ყველაზე კარგი შედეგი მივიღეთ 2018 წელს, საწარმოს სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1,78 -მდე გაიზარდა.

ამ მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწარმას აქვს უნარი დაიფაროს მიმდინარე ვალდებულებები ფულისა და დებიტორული დავალიანებების საფუძველზე.

ცხრილი 2.3.4

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი

2016-2018 წელი

N	მაჩვენებლები	2016	2017	2018	გადახრა წინა წელთან	
					2017	2018
1	მიმდინარე აქტივები (მლნ ლარი)	36,5	37,3	48,3	0,8	11
2	მიმდინარე ვალდებულებები (მლნ ლარი)	11,4	10,8	10,3	-0,6	-0,5

3	საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	3,2	3,5	4,7	0,3	1,2
---	---------------------------------	-----	-----	-----	-----	-----

როგორც აღვნიშნეთ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2-ზე მეტი უნდა იყოს. სს სარაჯიშვილის მონაცემების ანალიზით ამ კოეფიციენტმა სამივე წელს სამს გადაჭარბა. კერძოდ 2016 წელს შეადგენს 3,2-ს, 2017 წელს 3,5-ს და 2018 წელს 4.7-ს .

შეიძლება ვთქვათ, რომ საწარმო საკმაოდ ლიკვიდურია. მარტო ნაღდი ფულის მოცულობა ცოტა ნაკლებია, მაგრამ მაინც როგორც სხვა კოეფიციენტები ფულის კოეფიციენტიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. შეიძლება დროის განმავლობაში უფრო გაუმჯობესდეს. საწარმოს აქვს უნარი თავისი ვალდებულებების სრულიად და დროულად დაფარვისათვის.

2.4 ფინანსური მდგრადობის და მომგებიანობის მაჩვენებლების ანალიზი

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი არის მისი ფინანსური მდგრადობა. “ფინანსური მდგრადობა არის ფინანსური რესურსების განაწილებასა და გამოყენების ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს განვითარებას, მოგებისა და კაპიტალის ზრდის საფუძველზე, გადახდისუნარიანობის და კრედიტორუნარიანობის შენარჩუნებით, რისკის დასაშვები დონის პირობებში.”¹⁸

საწარმოს ფინანსური მდგრადობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს როგორც შიდა , ისე გარე ფაქტორები. ფინანსური მდგრადობის ამდლებისათვის ანალიზის დროს ყურადღებას ვაქცევთ ძირითადად შიდა ფაქტორებზე.

ფინანსური მდგრადობის ანალიზით შეიძლება გავიგოთ საწარმო რამდენად დამოკიდებულია ფინანსური მხრიდან და მდგრადია თუ არ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

¹⁸ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის დაგკენმარება შემდეგი მაჩვენებლები:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი- რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ქონების რა ნაწილია შეძენილი კაპიტალის ხარჯზე. იგი გამოიანგარიშება საკუთარი კაპიტალისა და აქტივების თანაფარდობით. სასურველია რომ ეს კოეფიციენტი 0,5-ზე მეტი იყოს.

(2.4.1)

$$K = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

- მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი - რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ქონების რა ნაწილია შეძენილი ნასესხები კაპიტალის ხარჯზე. იგი გამოიანგარიშება ვალდებულებებითა და აქტივების თანაფარდობით.

(2.4.2)

$$K = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ჯამი 1-ის ტოლია.

- საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი- როცა ეს კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ეს მეტყველებს საწარმოს ფინანსური მდგრადობაზე. ანუ საწარმოს საკუთარი კაპიტალი უფრო მეტია ვიდრე მოზიდული კაპიტალი. იგი გამოიანგარიშება ვალდებულებების და აქტივების თანაფარდობით.

(2.4.3)

$$K = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი - იგი გამოიანგარიშება საკუთარი საბრუნავი სახსრების შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან.

(2.4.4)

$$K = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

- ფინანსური ლევრეჯის კოეფიციენტი- იგი გამოიანგარიშება გრძელვადიანი ვალდებულებების შეფარდებით საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამთან. ფინანსური ლევრეჯის კოეფიციენტი გვიჩვენებს გრძელვადიანი აქტივების წილს გამოყენებული კაპიტალში. ეს კოეფიციენტის ზრდა უარყოფითი მოვლენად ითვლება.

(2.4.5)

$$K = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

ავტორთა უმრავლესობა განასხვავებს ფინანსური მდგრადობის ოთხ ტიპს:

1. აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
2. ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
3. არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
4. კრიზისული ფინანსური მდგომარეობა.

აბსოლუტური მდგრადობა- საწარმოს ფინანსური მდგომარეობა აბსოლუტურად მდგრადია იმ შემთხვევაში, როცა მატერიალური მარაგები და დანახარჯები უზრუნველყოფილია საკუთარი საბრუნავი სახსრებით. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს შემთხვევა იშვიათია. ანალიტიკოსების უმრავლესობის აზრით საკუთარი საბრუნავი სახსრები მატერიალური მარაგების მინიმუმ 50 % უნდა იყოს.

(2.4.6)

$$MX < C_{CK} + B_K$$

$$K = C_{CK} + B_K / MX < 1^{19}$$

სადაც: **MX-** მატერიალური საბრუნავი საშუალებები

C_{CK}- საკუთარი საბრუნავი კაპიტალი

¹⁹ მერაბ ჯიქია- ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

B_K - ბანკის კრედიტი სასაქონლო მატერიალური ფასეულებებისათვის.

ავტორთა ნაწილი კი აბსოლუტური მდგრადობას შემდეგნაირად შეაფასებს:

(2.4.7)

საკუთარი საბრუნავი სახსრები > მატერიალური მარაგები

ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგებისა და დანახარჯების დაფარვისათვის საწარმო იყენებს საკუთარი საბრუნავი საშუალებებთან ერთად ნასესხებ საშუალებებსაც. იგი გვაძლევს გადახდისუნარიანობის გარანტირებული დონეს.

(2.4.8)

$$MX = C_{CK} + B_K$$

$$K = C_{CK} + B_K / MX = 1^{20}$$

ან

საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგების ფორმირების ნორმალური წყარო

მარაგების ფორმირების ნორმალურ წყაროებია საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოკლევადიანი სესხების, კრედიტორული დავალიანებებისა და მიღებული ავანსების ჯამი.

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო ვერ ახერხებს მარაგების დანახარჯების უზრუნველყოფას საკუთარი საბრუნავი საშუალებებით და მარაგების დაფარვის ნორმალური წყაროებით. ამიტომ ფუნქციონირების გაგრძელებისათვის უნდა მოიზიდოს დროებითი თავისუფალი საშუალებები, ბანკის გრძელვადიანი სესხები.

(2.4.9)

$$MX = C_{CK} + B_K + T$$

²⁰ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

$$K = C_{CK} + B_K + T / MX = 1^{21}$$

ან

მატერიალური მარაგები > მარაგების ფორმირების ნორმალური წყარო

კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმოს გადახდისუნარიანობა ძალიან დაბალია. აქვს გადაუხდელი ვალდებულებები, სესხები . ვერ უზრუნველყოფს მარაგების შევსებას და საწარმო უკვე გაკოტრების ზღვარზეა.

(2.4.10)

$$MX > C_{CK} + B_K + T$$

$$K = C_{CK} + B_K + T / MX < 1$$

ფინანსური მდგრადობის აღდგენისათვის საწარმომ საკუთარი საბრუნავი სახსრები უნდა გაზარდოს შიდა და გარე წყაროების საფუძველზე.

სს სარაჯიშვილის ფინანსური მდგრადობის ანალიზი

ცხრილი 2.4.1

სს სარაჯიშვილის საკუთარი საბრუნავი სახსრები
2016-2018 წელი (მლნ ლარი)

N	მაჩვენებლები	2016	2017	2018
1	ძირითადი საშუალებები	27	25,5	23
2	არამატერიალური აქტივები	0,05	0,04	0,01
3	საკუთარი კაპიტალი	49	54	55
4	გრძელვადიანი სესხსები	10,2	6,2	13,4
5	საკუთარი საბრუნავი სახსრები (3+4-1-2)	32	35	45

²¹ მერაბ ჯიქია. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2011

ცხრილი 2.4.2

სს სარაჯიშვილის ფინანსური მდგრადობის ზოგადი შეფასება

2016-2018 წელი (მლნ ლარი)

წელი	საკუთარი საბრუნავი სახსრები	მატერიალური მარაგები
2016	32 >	24
2017	35 >	25
2018	45 >	30

სს სარაჯიშვილის მონაცემებიდან ჩანს რომ, საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრები სამივე წელს აჭარბებს მატერიალური მარაგებს. ეს კი იმაზე მეტყველებს რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა სამივე წელს აბსოლუტურად მდგრადია.

ცხრილი 2.4.3

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

2016-2018 წელი

მაჩვენებლები	2016	2017	2018	გადახრა წინა წელთან	
				2017	2018
საკუთარი კაპიტალი (მლნ ლარი)	49	54	55	5	1
სულ აქტივები (მლნ ლარი)	70,5	70,8	78	0,3	7,2
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0,69	0,76	0,70	0,7	-0,6

სს სარაჯიშვილის საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 2016 წელს 69%-ს შეადგენს, რაც კარგი მაჩვენებელია.

2017 წელს გაიზარდა ეს მაჩვენებელი 76%-მდე.

2018 წელს კი შემცირდა 2017 წელთან შედარებით და შეადგენს 70 %-ს ამის ძირითადი მიზეზი იყო მთლიანი აქტივების ზრდა.

სამივე წელს საწარმოს კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი მაღალია და ეს მისი ფინანსურ მდგრადობაზე მეტყველებს.

ცხრილი 2.4.4

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

2016-2018 წელი

მაჩვენებლები	2016	2017	2018	გადახრა წინა წელთან	
				2017	2018
ვალდებულებები (მლნ ლარი)	21,5	17	23,7	-4,5	6,7
სულ აქტივები (მლნ ლარი)	70,5	70,8	78	0,3	7,2
მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0,31	0,24	0,3	-0,07	0,06

სს სარაჯიშვილის მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 2016 წელს შეადგენს 31 %-ს, 2017 წელს შემცირდა ეს მაჩვენებელი და შეადგენს 24 %-ს, 2018 წელს კი ისევ გაიზარდა და შეადგენს 30 %-ს.

ცხრილი 2.4.5

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი

2016-2018 წელი

მაჩვენებლები	2016	2017	2018	გადახრა წინა წელთან	
				2017	2018
საკუთარი საბრუნავი სახსრები (მლნ ლარი)	32	35	45	3	10
საკუთარი კაპიტალი (მლნ ლარი)	49	54	55	5	1
საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	0,65	0,65	0,82	0	0,17

საწარმოს 2016 და 2017 წლებში კაპიტალის 65% იყო დაბანდებული საკუთარ საბრუნავ სახსრებში. 2018 წელს კი გაიზარდა ეს მაჩვენებელი და კაპიტალის 82% იყო დაბანდებული საკუთარ საბრუნავ სახსრებში.

საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობა

2016-2018 წელი

მაჩვენებლები	2016	2017	2018	გადახრა წინა წელთან	
				2017	2018
საკუთარი კაპიტალი (მლნ ლარი)	49	54	55	5	1
ვალდებულებები (მლნ ლარი)	21,5	17	23,7	-4,5	6,7
საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობა	2,28	3,18	2,32	0,9	-0,86

საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი 2016 წელს შედგენს 2,28ს. ანუ საკუთარი კაპიტალი 2,28 ჯერ მეტია მოზიდული კაპიტალზე. 2017 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ გაიზარდა და შეადგენს 3,18-ს. 2018 წელს მიუხედავად იმისა რომ საკუთარი კაპიტალი გაიზარდა , მაინც კოეფიციენტი შემცირდა 2.32- მდე. შემცირების მიზეზი კი მოზიდული კაპიტალის 17 მლნ ლარიდან 23,7 მლნ ლარამდე ზრდა იყო.

ფინანსური ლევრეჯის კოეფიციენტი

2016-2018 წელი

მაჩვენებლები	2016	2017	2018	გადახრა წინა წელთან	
				2017	2018
გრძელვადიანი სესხსები	10,2	6,2	13,4	-4	7,2
საკუთარი კაპიტალი და გრძელვადიანი სესხსები	59,2	60,2	68,4	1	8,2
ფინანსური ლევრეჯის კოეფიციენტი	0,17	0,10	0,20	-0,07	0,1

ფინანსური ლევრეჯის კოეფიციენტი 2016 წელს შეადგენს 17 %-ს. 2017 წელს შემცირდა 10% -მდე. 2018 წელს კი კვლავ გაიზარდა და შეადგენს 20%-ს. ზრდის ძირითადი მიზეზი კი სესხების ზრდა იყო.

- მოგებისა და მომგებიანობის ანალიზი

მოგება არის საწარმოს საქმიანობის საბოლოო მიზანი. ყველა საწარმო ცდილობს ყოველწლიურად მოგების დონის გაუმჯობესობას. მოგება არის შედეგი, რომელიც რჩება საწარმოს განკარგულებაში ხარჯების გაწევის შემდეგ.


მოგება წარმოადგენს სხვაობას საქონლის ან მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ერთობლივი შემოსალსა და ერთობლივი დანახარჯებს შორის.

მოგება გაიანგარიშება ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე დონეზე:

- საერთო მოგება- რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები გამოკლებული რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.
- საოპერაციო მოგება- საერთო მოგება გამოკლებული კომერციული და მმართველობითი ხარჯები.
- მოგება დაბეგვრამდე - საოპერაციო მოგება გამოკლებული არასაოპერაციო ხარჯები და მიმატებული არასაოპერაციო შემოსავალი.
- წმინდა მოგება- მოგება დაბეგვრამდე გამოკლებული მოგების გადასახადი.
- გაუნაწილებული მოგება- წმინდა მოგება გამოკლებული დივიდენდები და რეზერვები.

მოგების გაანგარიშებები დონეების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი დიგრამაზე:

დიაგრამა 2.4.1



მოგების მაჩვენებლების საშუალებით შეიძლება გაანგარიშებული იქნეს საწარმოს მომგებიანობის შეფარდებითი მაჩვენებლები. მომგებიანობის მაჩვენებლები ახასიათებს საწარმოს მომგებიანობის ანუ რენტაბელობის დონეს პროცენტულად. უმრავლეს ფინანსურ ლიტერატურაში დაჯგუფებულია მომგებიანობის შემდეგი მაჩვენებლები:

1. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები.
2. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები.
3. პროდუქციის მომგებიანობის მაჩვენებლები.

ეკონომიკური მომგებიანობის შეფასებისათვის არსებობს შემდეგი მაჩვენებლები:

აქტივების მომგებიანობა- იგი გვიჩვენებს ერთი ლარის აქტივზე რამდენი ლარის მოგება მოდის. და გაიანგარიშება მოგება დაბეგვრამდე შეფარდებული აქტივების საერთო ჯამთან გამრავლებული 100-ზე.

(2.4.12)

$$\text{აქტივების მომგებიანობა} = \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{აქტივების ჯამი}} \times 100^{22}$$

კაპიტალის უკუგება- იგი საკუთარი კაპიტალით და გრძელვადიანი სესხებით შექმნილი რესურსების მომგებიანობის დონეს ახასიათებს. კაპიტალის უკუგების გაანგარიშებისათვის უნდა შევაფარდოთ მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე საკუთარი კაპიტალსა და გრძელვადიან ვალდებულებების ჯამთან.

(2.4.13)

$$\text{კაპიტალის უკუგება} = \frac{\text{მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე}}{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიან ვალდებულებები}} \times 100$$

წარმოების რენტაბელობა- იგი პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული ყველა აქტივის მომგებიანობას წარმოადგენს. წარმოების რენტაბელობა გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

(2.4.14)

$$\text{წარმოების რენტაბელობა} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{მატერიალური მარაგები + ძირითადი საშუალებები}} \times 100$$

ფინანსური რენტაბელობის შემდეგი კოეფიციენტები არსებობს:

აქტივების ფინანსური რენტაბელობა (ROA)- იგი გვიჩვენებს აქტივებში ავანსირებული ღირებულების ერთ ლარზე რამდენი მოგება რჩება. გამოიანგარიშება წმინდა მოგების აქტივებთან შეფარდებით.

(2.4.15)

²² იზოლდა ჭილაძე. ფინანსური ანალიზი. 2011 წ

$$\text{აქტივების ფინანსური რენტაბელობა (ROA)} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები}} \times 100$$

სააქციო კაპიტალის რენტაბელობა- გვიჩვენებს აქციონერების ერთი აქციაზე მისაღები მოგების სიდიდეს. იგი გამოიანგარიშება წმინდა მოგების სააქციო კაპიტალთან შეფარდებით.

(2.4.16)

$$\text{სააქციო კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{სააქციო კაპიტალი}} \times 100$$

პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები:

ფასნამატი- არის პროდუქციის თვითღირებულებაზე დამატებული თანხა, რომელიც საწარმოს სურს რომ მიიღოს ერთი პროდუქციის გაყიდვიდან მოგების სახით. იგი შემდეგი ფორმულით გამოიანგარიშება:

(2.4.17)

$$\text{ფასნამატი} = \frac{\text{მოგება რეალიზაციიდან}}{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}} \times 100$$

მოგების მარჟა- გვიჩვენებს ერთი ლარი შემოსავალიდან მიღებული მოგების სიდიდეს პროცენტის სახით.

(2.4.18)

$$\text{მოგების მარჟა} = \frac{\text{მოგება რეალიზაციიდან}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}} \times 100$$



სს სარაჯიშვილის სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგების (დანართი #2) საფუძველზე შევადგინეთ დიაგრამა #2.3.2. რომელშიც მითითებულია საწარმოს მოგების მაჩვენებლების ცვლილება 2017-2018 წლებში. საიდანაც ჩანს, რომ საერთო მოგება 2017 წელს შეადგენს 13,2 მლნ ლარი, რომელიც 2018 წელს გაიზარდა 2,4 მლნ ლარით. საოპერაციო მოგება 2017 წელს 7,8 მლნ ლარია, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი შეადგენს 8,7 მლნ ლარს, წმინდა მოგება 2017 წელს 6,5 მლნ ლარია. 2018 წელს კი გაიზარდა 8 მლნ ლარამდე.

სს სარაჯიშვილის მომგებიანობის მაჩვენებლები. (მონაცემები მლნ ლარებში)

აქტივების მომგებიანობა

2017 წელი: $\frac{6,6}{71} \times 100 = 9,3\%$ 2018 წელი: $\frac{8,1}{78} \times 100 = 10,4\%$

2017 წელს საწარმოს 1 ლარის აქტივზე მოგების 9,3 პროცენტი მოდის.

2018 წელს 1 ლარი აქტივზე მოგების სიდიდე გაიზარდა და შეადგენს მთლიანი მოგების 10,4 პროცენტს.

კაპიტალის უკუგება

$$2017 \text{ წელი: } \frac{6,5}{54+6,2} \times 100 = 10,8\% \quad 2018 \text{ წელი: } \frac{8}{55+13,4} \times 100 = 11,7\%$$

2017 წელს საწარმოს 1 ლარით შეძენილი რესურსის მომგებიანობა დაახლოებით 11 პროცენტს შეადგენს. 2018 წელს ეს მონაცემები გაიზარდა 1 პროცენტით. გაზრდა გამოიწვია მოგების ზრდამ და გრძელვადიანი სესხების ზრდამ.

წარმოების რენტაბელობა

$$2017 \text{ წელი: } \frac{7,8}{25+27} \times 100 = 15\% \quad 2018 \text{ წელი: } \frac{8,7}{30+23} \times 100 = 16,4\%$$

პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული მატერიალური აქტივების მომგებიანობის დონე შეადგენს 2017 წელს 15 %-ს, 2018 წელს კი 16,4 %-ს. წარმოების მომგებიანობის ზრდა გამოწვეული იყო როგორც საოპერაციო მოგების ზრდით, ისე მატერიალური ძირითადი საშუალებების შემცირებით, მიუხედავად იმისა მარაგებიც გაიზარდა საანგარიშგებო პერიოდში.

აქტივების ფინანსური რენტაბელობა (ROA)

$$2017 \text{ წელი: } \frac{6,5}{71} \times 100 = 9\% \quad 2018 \text{ წელი: } \frac{8}{78} \times 100 = 10\%$$

აქტივების ფინანსური რენტაბელობა 2017 წელს შეადგენს 9 %-ს, რომელიც 2018 წელს გაიზარდა 1 %-ით და შეადგენს 10 %-ს. მიუხედავად წმინდა მოგების ზრდისა, მთლიანი აქტივებიც გაიზარდა საანგარიშგებო პერიოდში. ამიტომ ROA-ს მაჩვენებელის ზრდის დონე არ არის მაღალი.

სააქციო კაპიტალის რენტაბელობა

$$2017 \text{ წელი: } \frac{6,5}{10,4} \times 100 = 62,5\% \qquad 2018 \text{ წელი: } \frac{8}{10,4} \times 100 = 77\%$$

2017 წელს 1 ლარის აქციის მომგებიანობა შეადგენს 62,5 %-ს, 2018 წელს კი 77 %-ს. მიუხედავად იმისა რომ საანგარიშგებო პერიოდში საწარმოში აქციების შექმნა არ დაფიქსირდა და აქციების ღირებულება წლის დასაწყისში და წლის ბოლოს იგივეა, მაინც გაიზარდა აქციის რენტაბელობა. ამის ძირითადი გამომწვევი მიზეზი იყო წმინდა მოგების 23%-ით ზრდა იყო წინა წელთან შედარებით.

ფასსამატი

$$2017 \text{ წელი: } \frac{13}{11} \times 100 = 118\% \qquad 2018 \text{ წელი: } \frac{15,4}{14} \times 100 = 110\%$$

2017 წლის ფასსამატი შეადგენს 18%-ს, ხოლო 2018 წელს 10%-ს.

მოგების მარჟა

$$2017 \text{ წელი: } \frac{13}{24} \times 100 = 54\% \qquad 2018 \text{ წელი: } \frac{15,4}{29,6} \times 100 = 52\%$$

2017 წელს რეალიზაციის 54% მოგება იყო. 2018 წელს კი ეს მჩვენებელი შემცირდა და შეადგენს 52%-ს.

ცხრილი 2.4.8

შემოსავლები და დანახარჯები ჩვეულებრივი საქმიანობიდან.

(მლნ ლარი)

N	მაჩვენებლები	2018	2017
1	ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან (A)	29.6	24
2	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (C)	14	11
3	საერთო მოგება (M)	15.4	13
4	კომერციული ხრჯები (K)	4.4	4.7
5	მმართველობითი ხარჯები (Z)	2.3	0.5
6	საოპერაციო მოგება (M')	8.7	7.8

ცხრილი #2.3.8-ის საფუძველზე დავიანგარიშოთ საწარმოს რენტაბელობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.

რენტაბელობის ფაქტორული მოდელი შემდეგნაირად შეიძლება დავწეროთ:

$$R = \frac{A - C - K - Z}{A}$$

საანგარიშო პერიოდში საწარმოს რეალიზაციიდან რენტაბელობის ცვლილებას შეიძლება შემდეგნაირად დავწეროთ:

$$\Delta R = R_1 - R_0 = 8,7/29,6 - 7,8/24 = 29,4 - 32,5 = -3,1 \%$$

რენტაბელობის დონე წინა წელთან შედარებით 2018 წელს -3,1%-ით შემცირდა. რენტაბელობის დონის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზისათვის გამოვიყენეთ ჯაჭვური ჩასმის ხერხს.

I ფაქტორი- რენტაბელობაზე პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ცვლილებების გავლენა.

$$\Delta R_1 = (A_1 - C_0 - K_0 - Z_0) / A_1 - (A_0 - C_0 - K_0 - Z_0) / A_0 = 45,3 - 32,5 = 12,8 \%$$

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ცვლილების შედეგად საწარმოს რენტაბელობის დონემ გაიზარდა 12,8 %-ით

II ფაქტორი- რენტაბელობაზე გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების ცვლილებების გავლენა.

$$\Delta R_2 = (A_1 - C_1 - K_0 - Z_0) / A_1 - (A_1 - C_0 - K_0 - Z_0) / A_1 = 34,5 - 45,3 = -10,8 \%$$

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების ცვლილებების შედეგად კი რენტაბელობის დონე შემცირდა -10,8 %-ით.

III ფაქტორი- რენტაბელობაზე კომერციული ხარჯების ცვლილებების გავლენა.

$$\Delta R_3 = (A_1 - C_1 - K_1 - Z_0) / A_1 - (A_1 - C_1 - K_0 - Z_0) / A_1 = 36,1 - 34,5 = 1,6 \%$$

რენტაბელობაზე კომერციული ხარჯების ცვლილებამ დადებითი გავლენა მოახდინა. 1,6 პროცენტით გაიზარდა რენტაბელობის დონე.

IV ფაქტორი- რენტაბელობაზე მმართველობითი ხარჯების ცვლილებების გავლენა.

$$\Delta R_4 = (A_1 - C_1 - K_1 - Z_1) / A_1 - (A_1 - C_1 - K_1 - Z_0) / A_1 = 29,4 - 36,1 = -6,7 \%$$

რენტაბელობაზე მმართველობითი ხარჯების ცვლილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა. 6,7 პროცენტით შემცირდა რენტაბელობის დონე.

საბოლოოდ ოთხივე ფაქტორის ცვლილების ჯამმა უნდა მოგვცეს საერთო გადახრას:

$$\Delta R = R_1 - R_0 = \Delta R_1 + \Delta R_2 + \Delta R_3 + \Delta R_4 = 12,8 + (-10,8) + 1,6 + (-6,7) = -3,1$$

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროცესში გაანალიზებულ იქნა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ასპექტები თეორიულად და პრაქტიკულად. ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მნიშვნელობას და ანალიზის ძირითად ასპექტებს. ასევე საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის და საქმიანი აქტივობების მაჩვენებლების ძირითადი თეორიული საკითხები განხილული იქნა სხვადასხვა ფინანსურ-ეკონომიკური ლიტერატურის, სამეცნიერო ნაშრომისა და სტატიის დახმარებით.

ნაშრომის მეორე ნაწილში სს სარაჯიშვილის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე განვიხილეთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი პრაქტიკულ ჭრილში. როგორც აღვნიშნეთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საწარმოს ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის, მდგრადობისა და მომგებიანობის მაჩვენებლების ანალიზს.

სს სარაჯიშვილის 2016-2018 წლის მონაცემების საფუძველზე ჩავატარეთ ფინანსური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი. ბალანსის მონაცემები შევაფასეთ სტრუქტურული და დინამიკური ანალიზის საშუალებით. **სტრუქტურის ანალიზის** შედეგმა გვიჩვენა რომ ბალანსის მუხლებში იყო ცვლილებები.

- საწარმოს მთლიან აქტივებში ძირითადი საშუალებების ხვედრითი წონა შემცირდა 8%-ით.
- საინვესტიციო ქონებების წილი შემცირდა 1%-ით.
- მარაგების წილი გაიზარდა 2017 წელთან შედარებით 2018 წელს 3 %-ით.
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 5,5%-ით გაიზარდა.
- საწარმოს მთლიან პასივებში გაუნაწილებელი მოგების წილი შემცირდა წინა წელთან შედარებით 5%-ით. სააქციო კაპიტალის კი 1%-ით.
- გრძელვადიანი სესხების წილი გაიზარდა 8 %-ით, მოკლევადიანი სესხების კი შემცირდა 7%-ით.
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებების წილი გაიზარდა 4%-ით.

დინამიკის ანალიზის შედეგმა კი უფრო ზუსტი მონაცემები მოგვცა. საბაზისო წლად აღებული იყო 2016 წლის ანალოგიური მონაცემები. ანალიზის შედეგად მივიღეთ შემდეგი მონაცემები:

- ძირითადი საშუალებები 2018 წელს შემცირდა 15-ით. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში გაიზარდა საბაზისო წელთან შედარებით 2018 წელს 517%-ით. არამატერიალური აქტივები შემცირდა 2018 წელს 84%-ით.
- მარაგები გაიზარდა 2017 წელს 4%-ით, 2018 წელს კი 24%-ით. მოთხოვნები 2017 წელს შემცირდა 3%-ით, 2018 წელს კი გაიზარდა 41%-ით.
- გაუნაწილებელი მოგება გაიზარდა 2017 წელს 12, 2018 წელს 14%-ით. გრძელვადიანი სესხები შემცირდა 2017 წელს 39%-ით, 2018 წელს კი გაიზარდა 32 %-ით.
- მოკლევადიანი სესხები გაიზარდა 2017 წელს 44%-ით, 2018 წელს კი შემცირდა 22%-ით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 წელს შემცირდა 72%-ით, 2018 წელს კი გაიზარდა 3%-ით.

ზოგადი შეფასების გრდა კოეფიციენტური ანალიზების შედეგად მივიღეთ შემდეგი დასკვნები:

- ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტიდან ჩანს, რომ საწრმოს 2018 წელს ძირითადი საშუალებების 5% იყო განახლებული. რომელიც 2017 წელთან შედარებით 3.6 %-ით მეტია.
- 2018 წელს ძირითადი საშუალებების გასვლის კოეფიციენტი 12.5 % იყო. ანუ ძირითადი საშუალებების განახლების დონე დაბალი იყო. წლის განმავლობაში გასული ძირითადი საშუალებების რაოდენობა უფრო მეტია ვიდრე მიღებულის.
- ფონდუკუგების მაჩვენებელი ზრდის ტანდენციით ხასიათდება. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 45%-ით. ფონდუკუგების გაუმჯობესობაზე მთავარ როლს ასრულებს რეალიზებული პროდუქციის მოცულობა.
- მარაგების შენახვის ვადა შემცირდა 38 დღით 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.

- დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდი შემცირდა 2017 წელთან შედარებით 4 დღით.
- საწარმოს საფინანსო ციკლი 1 დღით და საოპერაციო ციკლი კი 42 დღით შემცირდა წინა წელთან შედარებით.
- ლიკვიდურობის ანალიზის შედეგად მივიღეთ რომ, საწარმოს აქვს უნარი სრულიად დაფაროს თავისი ვალდებულებები. ლიკვიდურობის კოეფიციენტები გაიზარდა 2016 წელთან შედარებით 2017 და 2018 წელს.
- საწარმოს მდგრადობის ზოგადი შეფასების შედეგად მივიღეთ რომ საწარმო აბსოლუტურად მდგრადია 2016-2018 წლებში.
- საწარმოს მომგებიანობის დონე ყოველ წლიურად იზრდება. როგორც აქტივების მომგებიანობა ისე კაპიტალუკუება და სააქციო კაპიტალის რენტაბელობაც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2018 წელს. მაგრამ შემცირდა რეალიზაციის რენტაბელობა. ამის გამომწვევი მიზეზი იყო მმართველობითი ხარჯების და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა.

რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას შემდეგია:

- საწარმოში ნაღდი ფულის ზრდისათვის შეიძლება დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდის დაჩქარება.
- საწარმომ განახორციელოს ახალი ძირითადი საშუალებების შეძენა, რაც გააუმჯობესებს ძირითადი საშუალებების გამოყენების დონეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს 1-ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. (2009)
<https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/103>
2. ბასს 7- ფულადი ნაკადების ანგარიშგება. <https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/105>
3. ლომიძე, ნ. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სრულყოფის მიმართულებები ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. (2015).
4. გრიგალაშვილი, ლ., აბაშიძე, გ., გრიგალაშვილი, ბ. საწარმოთა გადახდისუნარიანობის ადმინისტრირების ანალიზი საქართველოში და მისი სრულყოფის გზები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კვ-287-290. თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. (2019).
5. გუდავა, ვ. საწარმოო ორგანიზაციის მდგომარეობის ფინანსური ანალიზის ბიზნეს-პროცესის დაპროექტება და ოპტიმიზაცია - სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. (2019).
6. დარსაველიძე, ნ. ეკონომიკური მდგრადობის შეფასება სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი ფირმების ანტიკრიზისულ მართვაში-სადისერტაციო ნაშრომი. ავტორეფერტი. თბილისი. (2012).
7. მუნჯიშვილი, თ. საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება სიმულაციური მეთოდით. თბილისი. (2019).
8. ჩეჩელაშვილი, ა. ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში –სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. (2013)
9. ჭილაძე, ი. ფინანსური ანალიზი. თბილისი. გამომცემლობა: მერედიანი. (2018).
10. ჭილაძე, ი. ფინანსური ანალიზი. თბილისი. (2011).
11. ხარაბაძე, ე. ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე). ლექციების კურსი. თბილისი. (2018).

12. ჯიქია, მ. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. (2018)
13. ჯიქია, მ., სრესელი, ნ. გაყიდვების ზრდის ტემპების და ღირებულებების შექმნის მახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი. სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“. თბილისი. (2017)
14. ჯიქია, მ. ფულადი ნაკდების მოძრაობის ანალიზი. საერთაშორისო სამეცნიერო კომპერენცია, კვ: 632-639. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი. (2016).
15. ჯიქია, მ. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. (2011)
16. Ионова, А. Ф. Н. Н. Селезнёва. Финансовый анализстр. Москва. 472 – 483; (2008) .
17. О. В. Ефимова, М. В. Мельник. Анализ финансовой отчётности. Москва , стр. 208 - 212. (2008).
18. Cem Niyazi Durmuş, Mahmut Vefa Toroslu. Finansal tablolar analizi. Türkiye.(2013)
19. Gülşirin Bodur. Nakit akış tablolarının analizi. Doktora tezi. Ankara. (2015).
20. Prof. Dr. Süleyman Yükçü , Haydar Demirkan. TMS nakit akış tablosu standardı ve uygulama önerileri. III. Uluslararası Türk Coğrafiasında UFRS sempozyumu.
21. Geostat.ge <https://www.geostat.ge/ka>
22. Reportal.ge <https://reportal.ge/>
23. Sarajishvili.com <https://www.sarajishvili.com/home-ge>
24. Saras.gov.ge <https://saras.gov.ge/>

დახარბო 1

სს სარაჯიშვილის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის (ქართულ ლარში)

	2018	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	22,989,230	26,517,508	26,895,684
საინვესტიციო ქონება	6,663,500	6,731,052	6,798,604
ბიოლოგიური აქტივები	238,275	238,275	238,275
არამატერიალური აქტივები	8,711	46,640	54,076
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	18,500	3,000	3,000
სულ გრძელვადიანი აქტივები	29,918,216	33,536,475	33,989,639
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	29,946,364	24,962,882	24,090,756
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,384,653	11,867,930	12,286,882
გაცემული სესხები	105,916	106,990	102,113
ფული და ფულის ეკვივალენტები	861,327	357,917	68,315
სულ მიმდინარე აქტივები	48,298,260	37,295,719	36,548,066
სულ აქტივები	78,216,476	70,832,194	70,537,705
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10,354,000	10,354,000	10,354,000
გაუნაწილებელი მოგება	44,153,078	43,455,593	38,673,571
სულ კაპიტალი	54,507,078	53,809,593	49,027,571
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13,421,231	6,224,036	10,151,512
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13,421,231	6,224,036	10,151,512
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	5,060,335	9,312,201	6,481,863
საგადასახადო ვალდებულება	384,266	184,053	185,267
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,843,566	1,302,311	4,691,492
სულ მიმდინარე ვალდებულებები	10,288,167	10,798,565	11,358,622
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	78,216,476	70,832,194	70,537,705

სს სარაჯიშვილის სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის (ქართულ ლარში)

	2018	2017
ამონაგები	29,638,678	23,773,936
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(14,027,726)	(10,917,743)
საერთო მოგება	15,610,952	12,856,193
სხვა შემოსავალი	1,637,584	2,586,126
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,997,419)	(3,007,750)
გაყიდვის დანახარჯები	(1,856,610)	(1,473,506)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,710,909)	(1,489,466)
ვენახის მოვლის ხარჯები	(354,654)	(603,049)
სხვა ხარჯები	(596,916)	(1,108,757)
საოპერაციო მოგება	8,732,028	7,759,791
წმინდა ფინანსური ხარჯი	(779,909)	(926,280)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	186,655	(253,392)
მოგება დაბეგვრამდე	8,138,774	6,580,119
მოგების გადასახადის ხარჯი	(121,595)	(111,387)
მთლიანი სრული შემოსავალი	8,017,179	6,468,732
მოგება ერთ აქციაზე: - საბაზისო და გაზავეებული მოგება ერთ აქციაზე	4.42	3.57

სს სარაჯიშვილის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის (ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2017	10,354,000	38,673,571	49,027,571
დივიდენდები	-	(1,686,710)	(1,686,710)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	6,468,732	6,468,732
31 დეკემბერი 2017	10,354,000	43,455,593	53,809,593
დივიდენდები	-	(4,019,694)	(4,019,694)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(3,300,000)	(3,300,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	8,017,179	8,017,179
31 დეკემბერი 2018	10,354,000	44,153,078	54,507,078

სს სარაჯიშვილის ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის (ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	8,138,774	6,580,119
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	992,304	918,365
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	619,257	594,165
წმინდა მარაგების ჩამოწერა	354,202	581,092
წმინდა ფინანსური ხარჯი	779,909	926,280
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	(68,381)	(102,529)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(186,655)	253,392
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	10,629,410	9,750,884
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:		
მარაგები	(5,337,684)	(1,453,218)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(5,855,124)	(172,399)
საგადასახადო ვალდებულებები	3,541,255	(3,389,181)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,799,604)	1,182,590
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	178,253	5,918,676
გადახდილი პროცენტები	(760,242)	(921,000)
გადახდილი მოგების გადასახადი	(121,595)	(111,387)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	(703,584)	4,886,289
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,723,103)	(543,997)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	4,432,939	181,325
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	(15,500)	-
გაცემული სესხებიდან შემოსული თანხები	23,783	46,675
სესხების გაცემა	(20,000)	(53,540)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	2,698,119	(369,537)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:		
სესხების მიღება	81,272,309	37,140,151
სესხების დაფარვა	(78,379,430)	(38,241,166)
გადახდილი დივიდენდები	(3,047,995)	(2,797,450)
ოპერაციები მფლობელებთან	(1,281,475)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი	(1,436,591)	(3,898,465)

სახსრები		
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	557,944	618,287
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	357,917	68,315
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(54,534)	(328,685)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	861,327	357,917